სახლში არ გაიცემა

# ცისკარი.

## ქართული

## სალიტერატურო ჟურნალი.

1857

№1, იანვარი.

ტფილისი.

# ცისკარი.

# ქართული სალიტერატურო ჟურნალი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

1ი

რედაკტორი და გამომცემი ივ. კერესელიძე.

«თუ შეიყვარო სმენად, მიითვალე,
და უკეთუ მიუპყრა ყური შენი, ბრძენ
იქმნე.»
(წიგ. ისუსზირ. თავი 6. მუხ. 34.)

**1857 წლისა.**

წიგნი პირველი.

იანვარი.

ქართულის სალიტერატურო ჟურნალის სტამბაში.

ქ. თბილისს.

## ПЕЧАТАТЬ ПОЗВОЛЯЕТСЯ

съ тѣмъ, чтобы по отпечатанін представлено было въ Цензурный Комитетъ узаконенное число экземпляровъ, г. Тифлисъ. Сентября 12 дня 1856 года.

Исправляющій должность Грузинскаго Цензора Св. Алексѣевъ.

# ცისკარი.

## ქართული

## სალიტერატურო ჟურნალი.

### პოეზია.

### ცისკარი.

ავრორამ განხვნა სიბნელის კარი,
რომლით გამოხდა კვალად ცისკარი
და, ჰბამავს იგი რა გავსილოს მთვარეს,
ჯერ სხივთ სუსტად ჰფენს ჩვენს არე-მარეს.
მისით სიმქრალით შუქთ მიმო-ფენა,
ნეტარ მრქვა: რასა გვასწავებს ჩვენა?
მის-თვს ფერ-კრთომით არის იქნება,
რომ მის დაჩაგვრა ფებმან ინება,
გვიან აღმოხდა ზღვით ის მცონარი,
მზეს არ განუღო თავისს დროს კარი,
რათა საბრალოს მიშველებოდა,
და მით მუშაკად მწედ მისცემოდა.

ამის-თჳს არის აწ ესრეთ მქრალი,
რომ ფებს კვალად არ წარუხდეს მალი...
მაშვენებელო დილის ცისკარო!
მე გული მნათი ჰსჯობს დაიმტკბარო,
აგერ, შეხედე აღმოსავლეთსა,
ვარსკვლავთა დასნი ვით გეწევიან!
ფებს ვინ რას ჰკითხავს, ვინ გაუგონებს,
ცის დასი ღამეს დღეს დაუმონებს;
მზე აღმოვალს და ერს განანათლებს,
ღამესა იგი მსწრაფლ განასანთლებს...
დილის ცისკარო გვეჩვენე მარად,
რადგან შექმნილ-ხარ დღის წინა-მძღვარად;
რა გჭვრეტთ არ ვკარგავთ ივერნი იმედს,
განათლება სურს, ვფიქრობთ, შემომქმედს...

ივ. კერესელიძე.

## ბ უ ლ ბ უ ლ ი.

ერთს განშორებულს მშვენიერს მტილსა,
ვარდი ჰყვაოდა ნაზად, ნარნარად,
და მისა ახლოს, მწვანით მოსილსა,
წყარო მცინარე ურწყვიდა მარად.
გარნა, რა დილა გამოკრთებოდა,
ყვავი ყვავყვავით ვარდზედ სჯდებოდა,

და მისა ახლოს ბულბული წყნარი,
ერთს გამხმარს ხესა საწყლად მჯდომარი,
ნაზად და ნელად მწარედ მოსთქმიდა,
და სჭვრეტდა ყვავსა, ვით ვარდს სჯიჯგნიდა.
განრისხებული ვარდის მფლობელი,
გარდასჩხაოდა საწყალს ბულბულსა:
"ეგრეთ ცუდისა ჴმის მქონებელი,
რად არ დასცხრები, რად უხეთქ გულსა,
ნარნარად ჩემგან შეყვარებულსა?,,
გარნა ბულბული ნაზად და წყნარად
სტვენდა სიყვარულს მარად და მარად.
რა განვაგრძელო მამაცმა ყვავმა,
ვითა გულითა, სულითაც შავმა,
გრძლად ვარდთან შვება ვერ მოითმინა,
ყრიანტალითა და ბრჭყალებითა
გასჯიჯგნა ვარდი და სწრაფ იფრინა.
ვარდიცა დასჭკნდა მიწას გდებითა.
გარნა ბულბული ნაზად და წყნარად
სტვენდა სიყვარულს მარად და მარად....

თ. ვ. ჯ. ორბ.

## აღსარება ვოლტერისა.

ჰე მაღალო! ვის ვერ ვინმე მოგწდომიეს ჯეროდ
ცნობად;
ვის ყოველი დანაბადი გაჩენს, რომელ ჯერ გიჩნს ყოფად,

შემისმინე მომაკვდავსა რაცა მიჩნდეს შენდა'
თხრობად;
რას ბაგენი მკრთოლვარენი მზა არიან ჩემნი თხრობად.

შევცდი ოდენ, თუმცა შევცდი, გზათა შენთა კვალთა
მებნით,
სიტყვით მცდარ ვარ, თვარა საქმით მარად ვიყავ შენთან
გებით,
საუკუნოს კარს ჩემს წინა ვსჭვრეტ ახლა კი მე
განდებით;
ვსჭვრეტ განკრთომით, განკვირვებით, არა შიშით,
—სათნოებით.

ეს ვით მრწმენეს, რომე ღმერთი, ვისგან ვარ მე ჩენილ
შობილ;
ღმერთი, რომლის სიუხვითა, იყვნენ დღენი ჩემნი
ტკბობილ,
ამად ჰყოფს რად, რომელ ვიქმნა მე ამ სოფლით კვალად
სპობილ,
საუკუნის მისცეს ტანჯვას და შეიქმნას ამით ღმობილ.

თ. ალ. ჭავჭავაძე.

## ოცნება. (*)

სადა არიან, ოცნებაო, ის დრონი, ჟამნი,
ოდეს ხმა ზესთა მუნ მესმოდა ჯერეთ უსმენი;
ვსჭვრეტდი ცას განხმულს, იქ ღუთაებას საყდარზედ ასე,
ანგელოზთ ფრთოსანთ მის გარს ფრინვალთ... მეც
მათ ვედასე...
ძლივს თვალმან ჩემმან განიცადა იგი ზენარი,
გარნა როგორ ვჰსთქვა მისი დიდება, ნეტარ რა არი!
სუნნი სუნნელთა იფრქვეოდენ, ჩემს გარე რბოდენ,
ანგელოზენი სულის ტკბობით, ფსალმუნს გალობდენ,
დედა უფლისა და ყოველთა წმიდათა კრება,
ჩუენთჳს ოხვდენ, შესწირესცა ცრემლით ვედრება.
ნეტარ რადათა განმექარვე უცხო ხილვაო,
რომე შენშივე ქვალად დავშთი: სოფელო შაო!

კნიაჟნა სალომე მაყაევისა.

## რომანსი. (პუშკინით.)

ჯერეთ უცნობსა უდაბურსა ველს,
სად მყუდროება ჰგავს სასუფეველს;
სად ბნელს ჩრდილოში ხშირ ხეთ ფურცლისა
ცვფრ-ფეროვანად თრთის შუქი მზისა,

---

(*) მთხზველი ლექსისა ამის გარდაიცვალა წარსულს წელს სამწუხაროდ რედაქციისა, სადაცა არიან სხუანიცა მშვენიერნი თხზულებანი, იმისგანვე, წარმოგზავნილნი. რ.

ვნახე ყვავილი მყუნ მშვენიერი;
ვარდი ვიხილე ფერით ციერი,
მარამ მიხდოდა მას ფერიცვნება:
ვით დილა მსწრაფლად ბოროცვებზედ ქრება!
ტყუილად განცხრომილი მეფა ბაღისა
არ არის ნერგი წვრილიან ტყისა.
მყუნ ვერც იხარებს, ვერც გაიშლება,
სად ბულბულის ხმა არ მოესმება,
სად ხშირ მუხნარში, სიცივისა ჟამს,
ბულბული მღერას ვეღარა ჰხედავს.
თქვენ არა ჰგავხართ, ლამაზნო, ვარდსა,
მაისის დღეში საწყლად დამჭკნარსა,
ოდეს ხედვასა თქვენსას გულგრილსა
აქცევთ სიყვარულს ახლად აშლილსა;
რად უნდა იყვნეთ თქვენ შემწყვდეულნი
ბნელთა კედელთა შორის, სევდის ტყვედ
ქმნულნი,
ახ! უმჯობეს არს ქვეყნით იხაროთ,
სიცოცხლე თქვენი ტკბილით ატაროთ,
და არა დასჭკნდეთ უმეგობროთა;
ვით ვარდი ტყეში უბულბულოთა,
გაქვნდესთ მეგობართ თქვენც სიყვარული,
ვიდრე მშვენივრად ჰყვავის ზაფხული;
ნუ ელით ბნელსა შემოდგომასა,
ის იწყებს ოდენ ჭმუნვის ქროლასა!...

დიმ. მეალობელოვი.

# ჩიტი.

ყოველთ უწინარეს მე განვიღვიძებ,
ფრთას ფრთას შემოვჰკრავ, რა თვალს ვახილებ,
დავჰკრავ, დავუშტვენ, ღმერთსა ვადიდებ,
მშვენიერის ხმით მსმენელს ვაგიჟებ;
უფლისაგან მაქვს სასმელ-საჭმელი,
არც ვსთეს, არცა ვმკი, არცა ვარ მხვნელი,
ვარ გამაძღარი, მაქვს მე ყოველი,
მოდი, ზაფხულო, მე შენ მოველი.
მიყვარს ზაფხული მწვანით შემკული,
ვცელქობ მაშინ, ვარ აღტაცებული;
სახლი მაქვს მინდვრად ღვთის მოცემული,
ცისა ქვეშ ვფრინავ გახარებული;
ზეცით მწვანეზედ ჩამოვეშვები,
მშვენიერთ ყვავილთ შორისა ვჯდები,
ხან ტყის, ხან წყლისა პირს მოვედები,
ვით ისარი მასზედ გავსხლტები,
ვინ მომეწევა, გინდ იყოს ცხენი...
ხშირათ მსახურვენ მალვისთჳს ხენი,
გარნა მიჭერენ მცირის მახითა,
მიტყუებენ რა ხორბლის მარცვლითა.

თ. ილ. ჭავჭავაძე.

(მოთხრობა მარმონტელისა.)

# მეუდაბნოენი.

მე მუჭან და მეგობარი, ტომით შვედი, დია' კარგად განათლებული და ისეთი ამიკი ჴელოვნებისა და ბუნებისა მშვენიერებათა, რო' ყოველ თჳს დიდით ეშხით აღსწერდა იმათ მოქმედებას თავსს სულ-ზე'. ზნეობითი სილამა-ზე კაცთა ცხოვრებისა და თჳსებათა იყო იმის თჳს წყაროდ უცხოველესთა გულის სიამოვნეთა; მარა', სიხარულით აღტაცებანი იმისნი ემსგავსებოდენ ტკბილისა მილისა ზმანებათა, ნელსა, საამოსა მოხიბლვასა. სული იმისი სიხარულით აღიტაცებოდის და გრძნობანი მდუმარებდნენ, მხოლოდ ენა გამოაცხადებდა დიდსა გულის ღელვასა; მარა' თჳთ იპერბოლანი-ცა იმისნი მოსაწონ იყვნენ რომლითა-მე საოცარით სიმარტივით. ესეთი სიმშჳდე მგზნებარისა სულისა და ნაზი გამომჟღავნება სიხარულისა არა საგულ-ხმებელ იჩვენებოდენ. გრძელით ჟამით ვიცნობდი მე იმას, ყოველ დღე ვხედევდი, და მაინც ჩემს განცვიფრებას არ ჰქონდა დასასრული. ამასობა-ში შევამცნივე მე, რო' ეს ცხოველი, ძლიერი მგრძნობელობისა ღელვა, ეს უნებურად ზე-მფრინავნი ლექსები სიამოვნეთა იმისთა აღწერა-ში, არა ოდეს გამოსტყინდებოდენ იმისის სულისაგან უსიამოვნოებათა აღწერა-ში: მწუხარება ყოველ თჳს მდუმარეობდა იმა-ში. ნაზი გამომჟღავნება ნელის სიხარულისა და დაფარვა გულ-ში მწუხარებისა არის ნიშანი სჳვლიანობისა, რომელი-ცა შეადგენდა უმთავრესსა თჳსებასა იმისსა.

იყო რა მინისტრად შვეციის კოროლისა მადრიტის კარ-ზე', გრაფს კრაიც მიმოევლო ის შვენიერნი და მდიდარნი მაზრანი, რომელთაცა კიდენი განიბანებიან ორის ზღვისა გან. თავისს წერილებ-ში იმათ აღმიწერდა მე ისი, როგორც უუსამიჯნურესს ადგილებს, და რომლესაც უკ-მოიქცა პარიზს, კიდე' უცხოველეს მიამბვობდა პირად იმათს სიმშვენიერეს. და რომლესაც ვკითხე მე იმას, თუ ყოველი-ვე ის, რასაცა მეტყოდა მართალი იყო, მაშ' რად არ გარდასახლდების მრავალი ხალხი იმ სანატრელს ქვე-ყნებ-ში, მაშინ პასუხად მითხრა იმან: ხალხი, როგორც მცენარე, სად-აცა იშობების იქ-ვე ფესვებს გაიდგავს-ო.

ერთ-ხელ ვხუმრობდი მე პიიტიკებრივს და ზღაპარ-მეტყველობითს იმისს აღწერა-ზე' გრენადისა და მურციისა. მაშა რა-ღას იტყვი-ო,-მითხრა მე იმან,-რომლესაც გიამბვობ მე შენ იქაურს ჩემს შემთხვევას? უთუოდ შენ იმას ზღაპრულს მიჯნურობად მიიღებ-ო, მაგრამ ის არის-ო ნამდვილი და სრული ჭეშმარიტება.

რა საკვირველი-ა' მოვიწადინე მე იმ შემთხვევის ცნობა; გრაფმან-ცა აღასრულა ჩემი სურვილი და იწყო ასე:

მოგზაურობა ჩემი ისპანიის საუკეთესოთ ადგილებ-ში იყო დია' წყნარი. მოუთმენელად მწადდა ნახვა ახალ-ახალთა თემთა, მარა' ვერ ვეხრწევოდი მე მალე ვერ-ცა ერთსა იმათგანსა; გონების ლანდები ჩემნი ტრფიალებდენ იმით, რა-ც' წინ მიმელოდებოდა, ,მარა' თვალები ყოველგან ყოველსა-ვე დაეპყრობოდენ და აღარ შორდებოდენ. ერთ-ხელ დავიდამე მე მცირეს დაბა-ში კართაგენის მახლობლად. იქ ვესაუბრებოდი რა გლეხებს, შევიტყე იმათგან, რომ' რომელი-მე მეუდაბნოე სცხოვრებს რავდენი-მე წელი-წადი იმ

მთის წვერ-ზე‘, რომელსა გარს უვლის მდინარე ხევსურა. იმათ მითხრეს: ჯერ ისევ ახალ-გაზდა არის-ო ისი, დაღრუმლილი და ნაღვლიანი; სრქელი წვერი და გაწეწილი თმა დაჰფარვენ იმისს პირის-სახეს, მარა‘ კეთილ-შობილური სანახაობა იმისი და ყოფა-ქცევა აცხადებენ, რო‘ უბრალო კაცი არ უნდა იყოს-ო ისი. იმასთანდაიარება მახლობლის სოფლი-დამ მხოლოდ ერთი გლეხი, რომელი-ც‘ იმ განდეგილისაგან მთა-ზე‘ დაკრეფილს სუნნელებას ჰყიდის-ო კართაგენ-ში და იმით იზრდების მეუდაბნო-ე. იქ გააჩინა-ო იმან მცირე ბაღი და სთესს მრავალს ყვავილებს და კეთილ-სუ-ნოვანს ბალახეულობას.

ჩემს სიყრმე-ში ვსწავლობდი მე ბუნებით ისტო-რიას და სახელ-განთქმული ჩუენი ლინნეოს იყო ბოტანიკის მოძღვარი ჩემი. ჯერედ მახსოვდა სწავებანი იმისნი და მიყვარდა ის საგანი, რომლითა-ც‘ მოხიბლვა იმან გონება ჩემი, და ამის თჳს მოვიწადინე გაცნობა ბრძნისა მეუდაბნოესი, და, ბალახეულობის შეკრების მომიზეზებით, წაველ იმ მთა-ზე‘, სადა-ცა სცხოვრებდა ისი. შორი-დამ რო‘ დავინახე განდეგილის ქოხი, დავითხოვე ჩემი კულაოზი, რადგან, ჩემით ფიქრით, უკეთესად მიმიღებდა მე ისი.

ქოხი იყო ორს წვერს შუა მთისა და იმის გარშემო მრთელს ველე-ზე‘ მოფენილი იყო ბაღი, სადა-ცა მარტო-მყოფი მუშაკობდა ჩემის მისვლის დროს. რა განმიცადა რაოდენ-მე შეკრთა და მკითხა ჩემი გულის წადილი მედიდურით, მარა‘ ალერსიანით კმით. მაშინ ვუთხარ მე იმას:

— მე გახლავარ უცხო-ქვეყნიერი და მოგზაური. ბო-ტანიკის სიყვარულისა გამო, შევკრებ მე ბალახეულო-ბას. გავიგონე ვითომც გქონდესთ თქვენ მრავალი

ბალახი და ჭყიდდეთ; იმედი მაქჳს კართაგენის ვაჭრებ-ზე უმჯობესად მიმიჩნივართ მე. ბრძენო მეუდაბნოეო! იქმნება უწყებულ იყოს თქვენდა ის დიდებული კაცი, რომლისა-განცა ვარ გაწრთვნილი თქვენს საყვარელს საგან-ში: მე გახლავარ მოწაფე ლინნეოსისა.

ჰა, გონებისა და განათლებისა საკვირველებაო! დიდება შეაკავშირებს კაცთა, მცხოვრებთა სხჳასა და სხჳასა დასასრულ-ში ქვეყანისა. არ გვინახვს თვალით კაცი, მარა' პატივსცემთ და გვიყჳარს; გვიყვარან თჳთ მოწაფენიცა იმისნი; მთელი ქვეყანა არის სხოლა იმისი, და პატივის-ცემა იმისი შექმნების საღმრთოდ მგრძნობელობად.

«ბედნიერო მოკჳდავო!« — მითხრა მეუდაბნოემ — «უსათუოდ შობილ ხართ თქვენ ჩრდილოეთის სოლომონის მამულ-ში; რა საკვირველი-ა' გენახებათ თქვენ ისი და გაიგონებდით იმას მოლაპარაკეს. თუ როდისმე ნახვოთ კიდე' ისი, ნახვოთ დიდი განმარტებელი ბუნებისა, მაშა მომიხსენიეთ მე იმას, რო' მეორეს კიდურ-ზე ევროპისა უყურად იდებენ იმისს სწავებას, პატივსცემენ, უყჳარსთ ისი; მომიხსენიეთ იმას, რო' იმ მთებ-ზე', სადაცა მთელთა საუკუნეთა უფლებდენ მავრნი, მურციისა და გრენადისა სამძღვრებ-ზე' ერთი განდეგილი იხარებს იმის თხზულებით.

ამის-თანა გრძნობამ და სიტყვებმა მომწყლესმე. შემოვიარე მე იმას-თან ერთად მთელი ბაღი, რომელშიცა' ისპანიის ბოტანიკოსს შეეკრიბნა ყოველნი მცენარეთა საშეფოს უნჯნი. დავკრიფეთ ჩჳენ რავდენიმე სუნნელიანი მდელო მთის დაღმართ-ზე'; აქებდა ისი ჩემს მცოდინარობას, მკითხევდა რჩევას და დასასრულ მიმიპატიჟა თავისს ქოხ-ში განსასვენებლად.

ქოხი იყო მიწური, გარს შემორგვილი ბუჩქნარითა

და დაბურვილი კრამიტითა; იმა-ში იდგა, უბრალოს ხისა, ორი სკამი და ერთი პატარა სტოლი; საწო-ლად იყო ცარიელი ფიცარი; კუთხე-ში ეწყვნენ უსაჭიროესნი მიწის-მოქმედისათჳს იარაღები: ხერხი, ცული, კმალი და ხამით ლენტით შეხვევული სატევარი; სტოლ-ზედა-ცა განწყობილ იყვნენ თეთრნი ფურცლები ბალახები-თურთ და წიგნები, რომელთა შორის მი-ჩვენა მე იმან თხზულებანი ლინნეოსისა, რომელსა-ცა უწოდებდა ისი თავისს დიდს ნუგეშის-მცემელად. ამ სიტყვება განმიცხადეს მე გული მეუდაბნოესი და ვსთქვი ჩემს გულ-ში: ნ უ გ ე შ ი საჭირო-ა' მხოლოდ მ წ უ ხ ა რ ე თ ა თ ჳ ს.

მაშინ ვკითხე მე იმას:

— ნუ თუ შესაძლებელი-ა' ბედნიერი იყოთ ასე განმხოლოებულს და, როგორც სჩანს, მკაცრს ცხო-ვრება-ში?

«ბედნიერი! არა; მაგრამ ვსცდილობ, რა-ც' შეიძ-ლება, შევიმსუბუქო ჩემი მწუხარება და ტანჯვა.»

— სოფელი სავსე-ა' ბიწიერებით: იქნება ბოროტის სიძულილმა' დაგატევებინა თქვენ ის?

«არა, კაცთა არა რითა-მე არ განვუმწარებივე მე და არ მიმიძღვის სამართალი იმათის სიძულილისა.»

მაშინ მეუდაბნოემ' აღმიწერა ცხოველით, გული-თადით მგრძნობელობით თავისის ტომის სათნოებანი.

და კიდე' ვსთქვი მე:

— ვიცი მე სიმკაცრე თქვენის ინკვიზიციისა; * იქ-

* ინკვიზიცია: დიკასტირია, ანუ სასულიერო მეძი-ებელი სამსჯავრო, დაწესებული პაპისა-გან ფრანგთა სამფლობელოებ-ში, მოძიებისა თჳს და დასჯისა თჳს ყოველთა იმათ, რომელნი-ცა წინა-აღმდეგ ფრანგთა აღსარებისა ამტკიცებენ ჰაზრთა.

ნება...

მეუდაბნოემ გამაწყვეტინა სიტყვა და სთქვა:

«არა: სარწმუნოება ჩემი არი' წრფელი და წმინდა; ამაოდ-მორწმუნებას არ შევეხები მე, და ამის-თჳს ვერ-ცა წმიდა ინკვიზიცია შემეხების მე.»

მედიდურობა იმისი შემდგრეულ იყო რომლითა-მე ნაზით, ნელით შავ-ნაღვლოსნობით, რომელი-ცა უმეტეს და უმეტეს მიმიზიდევდა მე იმისა-დმი. რადგან განშორებულ იყო ის ქუეყნისა-გან, რა საკვირველი-ა', ექმნებოდა ნაკლულევანება რა-მე, და ამის თჳს ვსთხოვე საწყენად არ მიეღო ჩემი თავ-გამომდებლობა და ეთქვა ჩემ-თჳს თუ საჭიროებდა რა-შიმე. მეუდაბნოე დამარწმუნებდა, რო' გამრჯელობა იმისი და სამსახური ერთის კეთილის გლეხისა აძლევდენ იმას ყოველსა-ვე, რა-ც' საჭირო-ა' ზომიერ-მცხოვრების კაცისა თჳს. ამა-ზე' ვუთხარ მე იმას:

-თუმცა არ-ც' მე გახლავარ განცხრომის მოყვარე, მარა' არა თჳნიერ რომლისა-მე საშინელებისა წარმოვიდგენ მე თვალ წინთქვენს მკაცრს ცხოვრებას. ქვეშ-საგების მაგიერად ცარიელი ფიცარი, თავ-სადებად ლოდი!...

მეუდაბნოემ' მიპასუხა:

«ოჰ! რა ბედნიერი ვიქნებოდი, რო' ამ საწოლ-ზედა-ცა უფიქრელად ვიყო მე და სატანჯველი საგონისი რა-მე არ აღაშფოთებდეს ჩემს ძილს! მაშინ მეკურთხნეს მე სვე ჩემი.

—მაშა გამოგიცდიათ თქვენ უბედურება რა-მე, თქვენს სიცოცხლე-ში?

«დიდი; და მიზეზი-ც' თჳთონ მე ვარ ჩემის უბედურებისა.

—თუ ქონების დანაკარგს შეეხების ეგე, მაშა

თქვენს წლოვანება-ში ჯერ კიდე' შესაძლოა მრა-
ვლისა შეძინება; და თუ უკაცრავად არ გახლდე ჩემის სამსახურის მოხსენებისა თჳს...

მეუდაბნოემ' არ-და დამასრულებინა სიტყვა, გამოიღო სტოლის ქვეშე-დამ ყუთი ქიშმიშით და ლეღვი-თურთ, პური და ერთი ბოთლი წყალი და სთქვა:

«ყარიბო! ვინ-ც' კმა-ყოფილი იქნება ამით, რასა-ც' შენ ხედავ, ის ქონების დაკარგვას არ შერაცხს უბედურებად.

ამ თქმა-ზე' მოვეხვიე მე იმას და ვუთხარ:

—მაშ' სიყვარულს ხო' შეუძლიან თქვენის-თანა კაცის გულის გაქენჯნა, ჩემო საყვარელო თანა-მოწაფეო!

მეუდაბნოე უცებ შეიცვალა პირის-სახე-ზე', კიდე' მიიღო ის მედიდური სახე, რომლითა-ც' პირველად შემეყარა, გაჩუმდა წამსა ერთსა, გარდაშალა შემდეგ ბალახების ფურცლები და მსთხოვა ამეღო რა-ც' მნებავდა.

ვიგრძენ მე ყოველი უკრძალველობა ჩემი, შევეხე რა გულის წყლულსა იმისსა; მარა' მაინც არ შევიმცნივე წყინება იმისი და ვიწყე ერთობ იმას-თან გარდარჩევა ბალახებისა, რომელნი-ცა განწყობილ იყვნენ იმის მიერ, ლინნეოსის წესიერებისა მებრ, და გავჩუმდი რაოდენსამე ჟამსა იმისს დასამშვიდებლად. დასასრულ ვსთქვი:

—დიად მალე მოხსენდების უპსალის ბრძენსა თავისის ღირსეულის მოწაფის ამბავი და ახალნი მცენარეთა გამოჩინებანი-ცა თქვენნი აგრეთ-ვე ეცნობებიან იმას; მარა', ამა-ზე' კი უეჭველად დამემდურება მე ის, თუ ამის მეტად აღარ მექმნების მე პატივი თქვენის ნახვისა. რადგან ვიმყოფები მე ახლა დესპანად მა-

დრიტის კარ-ზე', ამის გამოუნდა დავჰყო ისპანია-ში კიდე' ორს წლად-მდე. მინდა მე შემოვიარო ყო-ველი არე-მარე კართაგენისა და დავრჩე რაოდენი-მე ჟამი ამ მთის ძირის სოფელ-ში. ნეტა ღმრთეო გიახლებოდე აქ და ერთობ თქვენ-თანა შევკრებდე საუკეთესოს ბალახეულობას აქაურს ადგილებ-ში.

მეუდაბნოემ' მიპასუხა:

«ქოხი ჩემი ყოველ-თჳს კარ-ღია არი' ლინნეოსის მოწაფისა თჳს; მარა' ესე-ც' უნდა იცოდეს იმან, რო' ჩემი წადილი ის არი', რათამცა ჩემი აქ ცხოვრება და სიკუდილი ფარულად იყოს ყოვლის სულისა-გან და ამის თჳს ვსთხოვ მე იმას რათამცა ისპანია-ში არა ვის განუმ-ჟღავნოს ესე. ამა-ზე' შევფიცე მე იმას და შემდგომ გამოვესალმეთ ჩვენ ერთი მეორეს, როგორც ძილის ხნის მეგობრები, და განვშორდით გულითადით მწუხარებით და იმედით ურთი-ერთისა კიდე' მალე ნახვისა თჳს.

კალასკა მიცდიდა მე მთის ძირს. ჩავსჯდე იმა-ში, დაფიქრებული ყოვლისა ჩემ-გან ნახულისა და სმენილისა თჳს და წამოველ ჩემსა-ვე სოფელს; წარმოვიდგენდი მე ურიცხვთა სხუა და სხუათა შესაძლებელობათა და ვერა რასა მივხუდებოდი და არ ვიცოდი თუ რომელი იმათ-განი უფრორე დასაჯერებელ იყო. და უჭეშმა-რიტეს ყოვლისა სჩნდა ის, რო' მეუდაბნოე ივნებდა სიყვარულისა გამო, და სატანჯველნი საგონისნი არ მოასვენებდენ იმას ქოხ-ში-ცა. მარა', რად განუწირავს იმას თავი ასეთს მოღვაწებითს ცხოვრება-ზე'? არ ეკუთვნიდა ის მგელთა განდეგილთა საზოგადოებასა, და სარწმუნოება-ცა იმისი არ იყო ამაოდ-მორწმუნება. ამ წლოვანება-ში (როგორც სჩნდა, ოც-და-ათს წლად-მდე იყო ის), მართალი-ა', სული ქენჯნილი მწუხარებითა, პირველსა-ვე ღელვა-ზე მიეწრაფის

მარტოობასა; მარა' სამარადისოდ მარტო-მყოფობა ამის-თანა გულ-გრილით მიზრჯნილობით, მოუწყი-ნებლად და მოუნანიებლად ცხოვრება ცხრას წელიწადს იმ უცვალებელით ფიქრით, რათამცა დაასრულოს სიცოცხლე განშორება'-ში' კაცთა-გან, რომელნი არ-ცა თუ სამუდველ' არიან-ცა იმისთჳს, დატევება სამშობლოს მამულისა, რომელ'-ზედა-ცა დიად დიდით ქებით ლაპარაკობს, - ყოველი-ვე ესე ძლიერ განმა-ცჳფრებდა მე... ვსცდილობდი გამომეცნა საიდუმლო და ვერ შევიძლე.

ორის დღის შემდეგ, მეორედ წაველ მე იმას-თან, და, ლაპარაკ'-ში', სხჳათა შორის, სიტყვა ჩამოვუგდე სიყუარულ'-ზე' საზოგადოება'-ში' ცხოვრებისათჳს, იმ სიყუარულ'-ზე', რომელი-ცა თანად-შობილი-ა' ჩვენი და რომელი-ცა შეაკავშირებს კაცობრივთა სულთა. პასუხად მითხრა: «ეგ მიდრეკილება განქარდა ჩემ'-ში' და მარტოობითი ცხოვრება შეიქმნა-ო საჭიროებად სულისა ჩემისა.

მერმედ ვსთქვი კიდე' მე:

-მიმოწ·ყლილევლობასა ჩემსა ნუ შერაცხთ ამა-ოებითად და უზრალოდ და მერწმუნეთ, რო' არა რო-გორ-მე არ მწადდეს მე წყენა თქვენი უკრძალველობით. იქმნება შემთხვევითნი და ადგილობრივნი გარემოებანი იმულებულ გყოფდენ თქვენ მარტოობით ცხოვრე ბა'-ზე', იქმნება გერჩივნოსთ თქვენ სხჳას ქვეყანა'-ში' ცხოვრება კეთილს კაცებ-თან, ვიდრე-და აქ' ველურის კაცისმძგომარეობა'-ში. თუ ასე-ა', ნუ დაჰფარავთ ჩემგან. თუმცა ჰავა შვეციისა ვერ შეედარების თქვენის ქვეყნის ჰავასა, მაინც კი აქუს იმას თავისნი სიამენი: აქვს თოვლ, თუმცა ცივი, მარა' ნათელი და [illegible] გაზაფხული, ზაფხული, შემოდგ[illegible] რომელთა-ცა

თბილისი

უკეთესი არ შეიძლება სანატრელად; მოკლე' დამეები მნიად თუ განჰყოფენ დღეებს, უბრწყინვალესს და უმშვენიერესს დღეებს; მზე, განაბნევს რა სხივითა ღრუბლებსა და ნისლსა, აღმობრწყინდების ყოვლითა დიდ-მშვენიერებითა, თჳნიერ მგზებარისა ხვარშაკისა, და, დასაჯილდოებლად გრძელ-ჟამიერისა თავისის უმყოფელობისა, მოგვმადლებს ჩვენ ნაზსა და მყო-ვარსა ნათელსა; ნაყოფიერება მიწისა, რომელიცა მწყურვალედ შეისვამს მზისა კეთილ-მოქმედებითთა შარავანდედთა; სისწრაფე მცენარეთ მოქმედებისა; სანახაობა მინდვრებისა, რომელნიცა რავდენსა-მე დღე'-ში' შეიმოსებიან ელვარითა ბალახების ორხოვებითა და ერთბამ მოოქროვდებიან მდიდრითა ყანებითა; სამოთხენი, რომელნიცა აღმწვანდებიან და აღყვავდებიან თითქმის ერთსა დროსა; ჰაერი დიაღ წმინდა და კეთილ-შეზავებული, რომელიცა ყოველთა მცენარეთა, ნაყოფთა და ცხოველთა, და უნამეტნავესად კაცსა, მისცემს რასა-მე საკუთარსა ძალსა: აი უპირატესობანი და სარგებ-ლობანი იმ ჰავისა, რომელსა-ცა უწოდებენ ევროპა'-ში' სევდიანად და გლახაკად! არა, არა, პატივ-ცემულო მეგობარო ჩემო! არა სადა არ იქნებიან კაცნი უმრთელეს, უხნეს და უბედნიერეს ჩემთა მემამულეთა; და ბედნიერება, მსგავსი, თქვენს ქვეყანა'-ში', ნაზისა, ხრწნადისა ყვავილისა, ჩვენ-ში არი' მტკიცე, მცხოვრი, ძლიერი მცენარე. თქვენ ნახავთ იმისს ყვავილს ანკარათა მდინარეთა კიდე'-ზე' და წალკოტთა ჩვენთა მწვანე'-ზე'; ნახავთ სატრფოსა მხიარულებასა მწყემსთა და მწყემსათა თამაშობა'-ში'; ნახავთ მცირისა ზღვისა მსგავსთა ტბათა, სადა-ცა განიმჭვირვალების წმინდა ლაჟვარდი ცისა... ნახავთ იმ ტბებს, მოჭედილთა ურიცხუთა ნავებითა, სადა-ცა ბედნიერნი მიჯნურნი

ადიდებენ გალობითა თავიანთის ბედის ნეტარებასა, რადგან მიწის-მოქმედნი ჩვენნი ჲ მესათხევლენი არიან მოლექსენი ჲ მუსიკოსნი. მარა', არა მიმხედველნი თავის-უფლებისა, რომლითა-ც' ჩვენს ქვე-ყანა'-ში' სარგებლობენ ახალ-გაზდანი კაცნი, ისინი დაიცვენ გულ'-ში' უმანკოებასა ჲ ქალწულებასა ასტრეას საუკუნეჲსასა; მხოლოდ ჩვენ'-ში' არა ოცნება-ა' ის საუკუნე; ჩვენ-ში ჯერედ განგრძელდების ის. ჩრდილოეთის შვეციის მაზრებ'-ში' ზნეობა ჯერ' კიდე' ისე-ვ' ისე წრფელი-ა' ჲ უმანკო, როგორც უუღრმესს ძველს დრო'-ში'. უხვად მცხოვრებნი მდაბიონი ჩვენნი დიდით სურვილით აღასრულებენ საღმრთოსა სტუმართ-მოყვარების ვალსა; წესნი, ჩვეულებანი, სამოსელი იმათი არა როგორ-მე არ არიან შეცვლილნი. ისინი არიან შრომის-მოყვარენი, პატიოსანნი ჲ კეთილნი თავიანთს მამებსა-ვით. ძნელად თუ საჭირო' არიან იმათ თჳს სჯულნი: ზნენი მსახურებენ იმათ კანონად.— ვალად ჩემდა შევრაცხ გარდავიყვანო თქვენ იქ, ორის წლის შემდეგ. გავკადნიერდები ჲ თითქმის ამასა-ც' ვიტყვი, რო' ვუყვარ-ვარ მე კოროლს; თუ იმას არა, იმისს შვილებს მაინც ჲ ნამეტნავად იმისს მემკვიდრეს, კაცსა დიად პატიოსანსა. თქვენ გიშოვნიან ისინი მყუდროს სავანეს. ლინნეოს უქებს იმათ თქვენს თავს ჲ მე წარვადგენ იმათ-თან. თუ გნებავს, წაბმანდით კართაგენი-დამ ფრანციას პირველითა-ვე ხომალდით ჲ იქ მომიცადეთ. როდესაც დავბრუნდები მე ჩემს ქვეყანა'-ში' გავლით დავჰყოფ რაოდენსა-მე დროს პარიზ'-ში'.— ახლა იფიქრეთ კარგა, თუ რა უფრო სამჯობინარო-ა' თქვენ-თვის: მარტოობა, თუ ის ცხოვრება, რომელსა-ც' წინა-დაგიდებ მე თქვენ.

მეუდაბნოეს თვალები აღემღვრა ცრემლით ჲ

მწუხარედ ჩაფიქრებული, თვალ-გასტერებული მიყურე-ბდა; მას-უკან ღრმად ამოიოხრა და სთქვა:

«არა, არა! აქაურს ადგილებ‘-ში‘ მოილანდების იმისი აჩრდილი; მე ვერ შევაწუხებ იმისს ხატებას გამომყვებოდეს მეორეს კიდურ-‘ზე‘ ევროპიისა. გლახ მე! რად არ ვიცი, თუ სად‘ არი‘ სამარე ჩემის საყვარელასი? იქ‘, იმისის საფლავის ლოდ‘-ზე‘ დამედვას მე თავი, განმებანოს ცრემლით მიწა, რომელი-ცა დაჰფარვიდეს ღმრთად ხადილსა ჩემ-გან მტვერსა! არა, არა! ჩემს სიცოცხლე‘-ში‘ არ განვშორდე მე იმ კიდეებს, სადა-ცა სცხოვრებდა ჩემ-გან დაუვიწყებელი; აქა მწადს მე ნელითა სიკუდილითა წარვხოცო ცოდვა ბოროტ-სვიანისა სიყუარულისა!«

აქა ყოველი-ვე განმიცხადდა მე. თჳთ მე მომიცვა ღრმამ‘, მდუმარემ‘ მჭმუნვარებამ‘.

მეუდაბნოე გაჩუმდა რავდენსა-მე წამსა და კიდე‘ სთქვა: «დავიწყე და უნდა დავ:სრულო კიდეც, და ვხედავ რა თქვენ‘-ში‘ სულსა კეთილ-შობილსა, გულსა მგრძნობელსა, მეგობარსა სარწმუნოსა, მსურის უწინარეს სამწუხაროსა დასასრულისა ჩემისა აღვიმსუბუქო სვინიდისი ჩემი; მარა იცოდეთ, კელ-მწიფეო ჩემო, რო‘ მხოლოდ ცაჲ და თქვენ იქმნებით მესაიდუმლენი ჩემნი.

«გვარი ჩემი არი‘ ფორმოზ-დე-ლამა. მე დავიბადე ჩამორე‘-ში‘, ლეონსის საკელმწიფოს-ში‘, და დავრჩი ობლად დიდის ქონების პატრონი, იმ წელი-წადებ‘-ში‘, როდესაც უუსაშიშარესი გულის-თქმათა-განი ექადის კაცსა. ვმოგზაურობდი რა შინაგანი-თური განუსვენებლობით გულისა, გულისა ჯერედ არა მოტრფიალისა, მარა‘ ტრფობად განმზადებულისა, ერთ-ხელ დავესწარ მე სევილია‘-ში‘ ერთსა იმ სახილველთა-განსა, სადა-ცა ახალ-გაზრდანი ისპანელები იქე-

ზებიან კელოვნებითა და მამაცობითა პირის-პირ განმკინებულთა მკვეთა ბრძოლა‘-ში‘ ჩემს ზემოდ, სანიშინებ‘-ში‘ ისხდნენ მრავალნი ქალნი, დართულობით მოულოდვარენი; მარა‘ იმათ-ში ერთი, უმარტივეს სხვათა მოსილი დააბნელებდა სხვათა ყოველთა შვენებით, როგორც ცის-კარი ვარსკვლავთა დამაბუნდებელი. დავინახე მე ისა-და სხვა‘ ვერ-ღა ვინ ვნახე. რა შემომხედა მე იმან, დაისრა იმისმა‘ თვალმა‘ ჩემი გული, აღაგზნა იმა‘-ში‘ ცეცხლი იმის-თანა გულის-თქმისა, რომელსა-ცა უნდა გარდაეწყვიტა ჩემის სიცოცხლის სვე. ამასობა‘-ში‘ უნდა დამეკარგა მე შინაგანი განუსვენებლობა ჩემი და, ჩემს უნებურად, თვალი მომერიდებინა იმის-თვის, და, ამ საგონისით, პირი მივიქციე მე ასპარეზისა-კენ.

პირველ-დასაწყისთა, მსუბუქთა ერიშთა შემდეგ, რომელთა-ცა ის-ის იყო გაეფიცხებინათ მძვინვარე კარი, თეატრო‘-ზე‘ გამოვიდა ერთი ახალ-გასულა კაცი, რომელი-ცა დიად შეუპოვრად მიესხლა პირ-უტყვს და დასცა შუბი. ამ‘ დაკოდილებამ‘ საშინლად გააცოფა ბუღა და გაბრაზებული მივარდა მოყმეს. ჭაბუკს ენება გარდამხტარ-იყო და დაეცა, და იმ დაცემა‘-ზე‘ განისმა ერთი საშინელი წივილი და ჩემ ეს მოძახილი: ვაი-მე ძმაო, ძმაო! ეს ხმა იყო იმ ქალისა და შეათრთოლა ჩემი გული. ავიხედე მაღლა: თვალები მაღლა დარჩენოდა იმას, ცის-კენ, ხელები განეპყრა და ზარ-განხდილი იდგა უძრავად. მკვირცხლად მივარდი მე ასპარეზ‘-ზე‘ ხმალ-ამოღებული, შევაყენე, მოვიტრიალე ჩემ-კენ გაცოფებული კარი და დრო მივეც უმაწვილს გაქცეულ იყო; ამ დროს სხვებიცა‘ მომეშველნენ და გარსშემოეხვივნენ კარსა. რადგან არ-ც‘ ჯეროვნად შეჭურვილ-ვიყავ და არ-ც‘

ისე ჩაცმული, რო' მე-ც' იმათ-თან შევბმოდი ბუდასა, ჩამოველ თეატრო-დამ და დავსჯდეგ ჩემსა-ვე ადგილს.

«მაყურებლები მაქებდნენ ამ უნებურის ვაჟ-კა-ცობისა-თჳს; მარა' უუტკბილესი ჩემი ჯილდო ის იყო, რო' ლამაზი დაჲ იმ ყმაწვილისა ადგა, თავი დამიკრა და ნაზით კმით, ალერსიანით სახით, სალ-მობიეროთი შეხედულობით განმიცხადა მე მადლობა.. სიხარულით აღტაცებულმა' ვუთხარ მე იმას: მო-წყალეო კელმწიფავ! ჩემი სისხლი-ც' რო' სრულიად დამენთხივა თქვენ-თჳს, მაშინა-ც' ღირსი არ ვიყავ მაგის-თანა ჯილდოსი!

«მეორეს დღეს იმისი ძმა, დონ-ლეონს დე-ველამარ მოვიდა ჩემ'-თან და მითხრა: მამა' ჩემს სურს-ო თქუენი გაცნობა.—ამას ყოველსა-ვე დაწვრილებით იმის-თჳს აღვიწერ მე თქვენ, რო' დაინახვოთ როგორ მოლიპულით გზით ჩავარდი მე ტუსკრულ'-ში'

«წაველ მარკიზ-თან... ახლა თქვენ წარმოიდგინეთ თვალ წინ სიხარულისა-გან ცემა ჩემის გულისა!... მრთელი გვარეულობა შეკრებილი იყო. ვალერია იჯდა თავისს ნათესავებ'-ში' მრთელმა' შეკრებილებამ' დამა-ბურა მე თვალი; ყველანი მმადლობდნენ მე სიტყვით. მხოლოდ ვალერიას მოჰფენოდა სახე'-ზე' ნაზი სი-წითლე და თვალ-დამხობილი ჩუმად იჯდა; მარა', რყევა მკერდისა, რომელი-ცა ჟილორის ქვეშ საჩინოდ იტა-ლდებოდა, გამოაცხადებდა სიცხოველესა იმისის გულის ძელკვისასა. ოჰ! უბადრუკი ერთობ ჩემ'-თან' განიგესლა გულის-თქმითა, რომელმან-ცა დაგვღუპა ჩვენ ორნი-ვე.

«მამა იმისი, ალფონს დე-ველამარ, კაცი უჟვი და თავისს დრო'-ში' მამაცი მკედარი, ისე არ იყო მოხარული თავისის შვილის ხსნისათვის (რომელ-სა-ცა უწოდებდა ის ქარიანად), როგორც ჩემის

გულადობისა-თჳს, და ნამეტნავად იმის თჳს, რო‘ მხოლოდ ერთით კმლით შევბედე მე განმვინებულსა ბუდასა. რომლესაც სცნა, რო‘ ჯერ‘ მხოლოდ პირველი გამოცდილება იყო ის ჩემის ვაჟ-კაცობისა, მომეხვივა როგორც ახალსა, ღირსეულსა რაინდსა. (*) სიყუარული დასაწყის‘-ში‘ სარგებლობს ყოველითა იმით, რა‘-ც‘ მიეტევების იმას, ან საზრდოდ ექმნების: მარკიზის ალერსი და ქება შეგვექმნენ მიზეზად ჩვენის უბედურობისა.

«მარკიზმა‘ მიბრძანა მევლო იმისს სახლ‘-ში‘. რა საკვირველი-ა‘, სიხარულით მივიღე მე ეს მიპატიჟება, — იმედი მქონდა ხშირად ვნახავდი იმისს ქალს... მარა‘ ვალერია ვერ-და ვნახე და მაინც იმედ-გარდაწყვეტილი არ ვიყავ. ამასობა‘-ში‘ დავუმეგობრდი ლეონსს, რომელი-ცა მელაპარაკებოდა ხშირად თავისს და‘-ზე‘ და ამით ვნუგეშობდი. განსაცვიფრებელად აქებდა იმას ისი და არ-ც‘ თუ ფიქრად ჰქონდა, რო‘ იმისი სიტყვები შთა-ანთხევდენ ჩემს გულ‘-ში‘ გესლსა; აქებდა იმისს‘ გულსა, სატრფოსა გულ-წრფელობასა, ნაზსა, საყუარელსა მართლ-სულობასა, ენით გამოუთქმელსა სიამესა, რომელი-ცა უფრო მომატებულად განამშვენიერებდა გარეგანსა იმისს

(*) რაინდი, საბა ორბელიანის განმარტებით, ნიშნავს ცხენის გამწვრთნელსა; მარა‘ ძველის წერილების მიხედვით, სადა-ცა რაინდი აღნიშნულია‘ ჩინებულს მხედრად, მე-ც‘, ამ მოთხრობა-ში, ამ წოდებით მივბამე უკანასკნელის ლექსის მნიშვნელობასა და ვიგულისხმებ რაინდს, როგორც ფრანცუზნი Chevalier და რუსნი Кавалеръ, рыцарь.

ს. ა. — მ.

ჭაეროვნებასა.– დაუღევნელი ჭაბუკი აღმიწერდა მე იმ საცთურთა, რომელთა-ცა არ დაჭჳარავს უმანკოება ძმას-თან, და მგზებარე-ცა გონების გამოხატულება ჩემი წარმოიდგენდა იმათ ისე, რეცა სარკე'-ში' ხედვიდა სიყვარულის თვალით.

«ლეონსს გავუტყდი მე, რო' შენის დის მოწყალებით ხარ მეთქი ახლა ცოცხალი; რო' იმ ქალის წივილმა' აადუღლა ჩემი გული და თავ-ხედად შთა-მაგდებინა თავი განსაცდელ'-ში' შენის შემწეობისა თჳს.—პასუხად მითხრა იმან: ჩუმმა' დამა'-ც' შე-გამცნივა-ო შენ ეგე და სხვას საკუთლსა-ც' არ გე-მახსის-ო შენ ისა, თუ არ თავისს რაინდს.—ამა'-ზე' კიდე' ვუთხარ მე იმას: და დიად ბედნიერი რაინდი-ც' ვიქნები, თუ ამ მოწყალებასა-ც' მოიღებს ისა, რო' დამსაჩუქრებს რითა-მე ხსოვნისა ნიშანით.—რა საკვრველი-ა', სიხარულით აღვისრულებს-ო მაგი-ს-თანა სამსახურს.

«ეს ჩემი სურვილი ლეონსს ეცნობებინა თავისის დისა თჳს. ვალერიასა-ცა არ ეფიქრა, თუ რა სა-მძიმო საქმე შეუდგებოდა იმისს საჩუქარს, და არ-ცა ეგრძნა იმისი ფასი, და შეერაცხა რა თავისი თავი მოვალედ მადლობის გადასახდელად თავისის ძმის მხსნელისა თჳს, გამოეგზავნა ჩემ-თჳს ლეონსის ჴელით სამი ლენტი: თეთრი, ალის-ფერი და ცის-ფერი და ეთქვა: პირველი ნიშნავს-ო თეთრსა ბეწვსა კა-რისასა, რომლისა — განცა გიხსნა-ო შენ ფორმო-ზმა', მეორე გამოაცხადებს-ო იმისის ფიცხის გუ-ლადობის ცეცხლსა, და მესამე წარმოადგენს-ო ნათელის, მოწმენდილის ცის ფერსა და იმით განუცხა-დებს-ო იმას გულითადს ჩემს სურვილს, ნეტა-მცა ჩემის რაინდის სიცოცხლე არა ოდეს დაბნელდებოდეს-ო

მწუხარებით... — არა ოდეს!... ოჰ! ამ ლექსს შეეძლო და უნდა კიდეც დაებნელებინა საუკუნოდ სიცოცხლე ჩემი!

«ამა-ზე' დამიწყო მე გულმა' ძლიერი ღელვა და ვსცდილობდი როგორ-მე დამემშვიდებინა ის! მარა' ახალ-გაზრდამ' კაცმა' ვერა რაჲ შემამცნივა ჰირის-სახე'-ზე', გარდა უმანკოს მადლობის ნიშანთა, ამის-თანა მოწყალებისა თჳს. არა კმა-ყოფილმან ამით, იქამომდე-ცა გავკადნიერდი, რო' მოვინდომე გალერიას დაეწერა რა-მე კიდეც იმ ლენტებ'-ზე'. ლეონსმა მიიხრა: რიგი ის'-ა' რო' დასაწერი ლექსი კაცმა უნდა გამოარჩიოს-ო და ქალის მოვალეობა ის არის-ო მხოლოდ, რო' მოიწონოს-ო ის ლექსი. — და ამის თჳს მივეც მე იმას სამი დევიზი, (*)ჩემ-გან დაწერილნი, და ვსთხოვე ამოერჩივა იმის დას იმათ-განის, რომელი-ცა მოეწონებოდა... აი ისინი:

მრთელი სიცოცხლე ჩემი ერთის წამისა თჳს.
ყოველი-ვე დიდებისა და სიყუარულისა თჳს.
სათნოება, სიყუარული, შეურყეველობა.

«უკრძალველი მეგობარი ჩემი შეექცევოდა ჩემს რაინდობა-ზე', და იმისი დაჲ იმა-ზე' უფრო წრფელი' იყო და უფიქრელად არა თუ დამსაჩუქრა ლენტებითა, ზედა-წარწერა-ცა ამოერჩივა იმათ-თჳს. ოჰ! იმისს გულს ამოერჩივა... ამოერჩივა ისე, რო' იქნება თჳთონ-აც არ იცოდა თავისნი გრძნობანი; არ იცოდა, თუ რის თჳს!.. გალერიას შეენახა თავის თჳს ჩემი დევიზები და მხოლოდ ერთი გამოეწერა იმათ-გან, თავისით ჴელით, და გამოეგზავნა ჩემ თჳს

(*) დევიზი, *devise:* გამოხატულება სახისა რისა'-მე' იგავიანით და მოკლით ზედა-წარწერით.

ს.

ლეონსის ჴელით:

«სათნოება, სიყუარული, შეურყეველობა.»

და ფორმოზმან გაიხსნა გულის-პირი, დაიდვა ჴელი, გულ'-ზე' დამოკიდებულს, ოქროს კოლოფ-ზე' და სთქვა: «აი ის! დაცული-ა' ამ' კოლოფ'-ში', ჩემს გულ-'-ზე', და იმას-თან არის აქ იმისი თმებიცა და ერთი კიდე' სხვა იმისი ჴელ-ნაწერი, რომელი-ცა უფრო უმეტესად სატრფო-ა' ჩემ-თჳს. აი, მხოლოდ ესე-და არი' საუნჯე ჩემი, რომელსა-ც' თან-ჩავიტან მე საფლავ'-ში'

«ამ' ბედნიერებამ' სიხარულით ამიტაცა, მარა' ლეონსს კი ჯერ' კიდე' შექცევად მიაჩნდა. — ახლა მომილოცე სრული რაინდობა, — ვუთხარ მე იმას; — მხოლოდ იარაღი არა მაქუს, და იმასა-ც' ვიშოვი. მაგრამ სად, ან რომელს რაინდულს დღესას წაულობას დავენახვო მე ჩემს საყვარელს ბანოვანს, ამაყს ბედაურ'-ზე' გამოჭიმული ელვარით აბჯრით, თავზა მეხურვოს ფრთოვანი ჩაბალახი იმის' ლენტებით გა-ნშვენებული, და ჴელსა მეპყრას ფარი დევიზიანი... იმ დევიზითა, რომელი-ცა საუკუნოდ დარჩება ჩემს გულ'-ში': სათნოება, სიყუარული, შეურყეველობა?

«ლეონსმა' სასაცილოდ ამიგდო და სთქვა: საწუხა-რი-ა'-ო რო' რაინდული ასპარეზობა აღარ არი' ჩვეულება'-ში'; მარა' იქნება კიდე' შემოვიდეს-ო ის ჴმარება'-ში' და ამასობა-ში, მე ერთს ჩინებულს სამსახურს გუჩვენებ-ო ახალს ამადისს: თუ დამიმა-დლებს-ო გავაჯირითებ-ო იმას ჩვენის ბაღის და სავრილოს წინ, სადა-ცა იმისი არიანა (*) მზის ჩასვლის შემდგომ შეექცევა-ო სადამოს შვენიერებით.

(*) ამადისის საყუარელი.

«არ-ც‘ ისი, არ-ც‘ მე, არ-ც‘ ისა არა ვფიქრობდით რო‘ ამ ხუმრობას ჰქონოდა საჩინონი შედგომილებანი რა-მე; მარა‘ ის ფიქრი, რო‘ ვალერია ნახავდა ჩემ-ზე‘ თავისს ლენტებს, სიხარულით მაგიჟებდა მე. ჩემს მეგობარს თავსით ქარიანობით ესე-ც‘ კი ეთქვა თავისის დისა თჳს, რო‘ სული მიმდიოდა მე მალე დავნახვებულ ვიყავ იმას. ეამბვო იმისა-თჳს ყოველი ფერი ჩემი სიყმაწვილე და სხვათა შორის ესე-ცა, რო‘ შენის საკელის გულისა თჳს სიხარულით თუნდ‘ მრთელს ქვეყანას შევებმისო. აბჯარი იმისი თუმცა მზად არ არის-ო და დევიზი ჯერ‘ დაუწერავია‘-ო; მარა‘ კი, თუ გნებავს ხვალ საღამო‘-ზე‘ ნახავ-ო შენს ამაღისს რაინდის მოკმაზულებით; მე და ისი გამოვივლით-ო ცხენებით შენის საგრილოს ფან-ჯრების წინ. ვალერია სიამოვნით დათანაკმებულ იყო ამ საშიშარს ნახვა-ზე‘; მარა‘ იმ პირობით, რო‘ არ მენახა მე ისა და ფანჯრები ფარდებ-ჩამოფარებულნი ყოფილ იყვნენ: აი, სუსტი საფარველი უბიწოს მორცხვობისა!

ფორმოზ ჩააფიქრდა და იწყო კიდე:

«დარწმუნებული იყავით, რო‘ არა რომელსა ევ-როპიისა ქვე-ყანა‘-ში‘ ვერ ნახავთ თქვენ დედა-კაცებს უმშჳდეს, უუბიწოეს ისპანელთა; მარა‘ წარმოიდ-გინეთ მოქმედება-ცა‘ ცხელის ჰავისა, ის სასტიკი იძულება-ცა‘, რომლითა-ც‘ განატარებენ ისინი თავი-ანთს ყმაწვილ-ქალობას; წარმოიდგინეთ, რო‘ ვა-ლერია სრთოდა რა ყოველ-თჳს წარბ-შეკრულის, მკაცრის მამის თვალ წინ, რომელი-ცა‘ მხოლოდ ერთით შეხედვით კმას ჩააწყვეტინებდა თავისს შჳლებს და დაამხობინებდა თვალებს, ვალერია პირველ-ჯერ ახლა თავისს სიცოცხლე‘-ში‘, სიამოვნით დაიმორჩი-

ღებდა ნაზსა გულსა და ხედვიდა სასიამოვნოსა მოქმედებასა თავისის შვენიერებისასა იმ კაც‘-ზე‘, რომელიც‘ ღირს იქმნა იმისის მადლობისა; მერმედ წარმოიდგინეთ იმისის წლოვანობას შესაფერი უმანკოება, რომელიც‘ წინად ვერ ხედვიდა რასა-მე განსაცდელსა, რასა-მე ბიწიერსა! თუ ყოველსა-ვე ამას განსჯით, უსათუოდ მიუტევებთ თქვენ იმას მგრძნობელობას ჩემს სიყუარულო‘-ზე‘.

«და ასე, შევხვედით ჩინებულს ანდალუზურს ცხენებ‘-ზე‘; ლეონსს ეცვა თეთრი და მე ოქროს აბჯარი და თავსა მეხურა ბუმბულიანი ჩაბალახი ვალერიას ლენტებით მორთული და რამთენ-ჯერ-მე ავიარ-ჩავიარეთ იმისის საგრილოს წინ. ვიცოდი რო‘ იქ იყო ისა‘, მარა‘ ამით მაინც სრულებით კიდე‘ კმა-ყოფილი არ ვიყავ: ნაღვლიანად შევსცქეროდი მე ფარდა-ჩამოფარებულს ფანჯრებს, ამოვიოხრე და ხმა-მაღლა ვუთხარ ლეონსს: «წავიდა ის დროები, როდესაც ძლიერ სასტიკნი შვენიერნი-ცა ერთს შეხედვას მაინც აღირსებდენ თავიანთს რაინდებს; ახლა აღარ კადრულობენ ჩვენს გულს-მოდგინებას.»

«ჩემმა‘ უკადრებამ‘ განამწარა ვალერიას გული; დაივიწყა იმან თავისი განზრახვა, გააღო ფანჯარა, დამენახვა და კეთილ-შობილურად გარდმომძახა: «საყუარელო რაინდო! ნუ განგვკიცხავთ ჩვენ, და წლოვანებისა ჩემისა შესაფერსა სიმხდალესა ნუ შერაცხთ უმადლოებად და თქვენის კეთილის-ყოფის დავიწყებად! განა-და შემიძლიან თჳნიერ სიამოვნისა დავინახვო ის კაცი, რომლისა-გან-ცა ჩემი ძმა დავალებულ-ია‘ სიცოცხლითა? განა-და უმადლოებისა და უკადრისობისა გამო ნება დავრთე მე თქვენ ჩემის ფერადის ქონებისა?»

«მაშინ მიველ მე ფანჯარას-თან და ვუპასუხე: მომიტევეთ, მოწყალეო კელმწიფავ, მომიტევეთ წამიერი დელვა მწუხარებისა და მოუთმენელობისა და ნუ განმაწითლებთ ჩემის სიკეთის მოგონებით. რა სამსახური მიმიძღვის მე თქვენ-თან? თქუენ საუკუნოდ ვალ-დებულ მყავით მე თქვენით მოწყალებით და მე-ცა მზა გახლავარ დავსთხივო სრულებით ჩემი სისხლი ნიშნად მადლობისა! დასმინეთ იმ მოწყალებას ერთი-ცა ესე: ნება მიბოძეთ შემოვწირო მრთელი სიცოცხლე ჩემი, რომელი-ცა უამისოდ არა სასიამოვნო იყოს თქვენის რაინდისა თჳს!

«ამა'-ზე' სასაცილოდ ამიგდო მე ლეონსმა' და უთხრა ვალერიას: მართალი-ა' თუ არა, ჩემო დაო, რო' გააცოცხლე-ო შენ ამადისი?

«კეთილო ჭაბუკო! რასა ჰფიქრობდი შენ? რა ჰქენ? რას განსაცდელ'-ში' ჩაგვაგდე ორნი-ვე ჩვენ?

«რაინდო! — მიპასუხა ვალერიამ' სცდილობდა რა დიად დიდით ამოვნებით მიებაძა ძველებურის ენისა თჳს, — სამართალნი თქვენნი ჩემს მადლობა'-ზე', ჩემს პატივის-ცემა'-ზე', საყუარელ და წმიდა არიან ჩემ-თჳს. პატივსა, რომელსა-ცა მიქმთ თქვენ, მივიღებ მე, და ყოველ-თჳს გულითადი მონაწილე ვიქნები მამაცის დონ-ფორმოზის სვესა და დიდება'-ში'.»

«საუცხოო-ა'! — დაიყვირა ლეონსმა': — სხვებს ისე ეგონებათ-ო, რო' ზე-პირად იცოდეთ თქვენ ძველებური' სამიჯნურო' წიგნები.

«ვალერიამ' თავისით ნაზით ჴმით საშინლად აადელა ჩემი გული, თავი დამიკრა და დახურა სარკმელი.

«ამ' უმანკომ' სახილველმა', რომელი-ცა და-ჰმასა მიაჩნდათ შესაქცევად, დაგვღუპა სამნი-ვე ჩვენ.

უგუნურ-ი-ა' ისა, ვინ-ც' ეთამაშების განურჩეველს რკინას, ან გესლიანს ისარს! და კიდევ' უუგუნურეს-ი-ა' ისი, ვინ-ც' ეთამაშების სიყუარულსა.

«მეუდაბნოე წამსა ერთსა ჩაფიქრდა და კიდევ' მოჰყუა:

«არა, არა! სიყუარული უცხოობს შექცევასა, და რაოდენ უწრფელეს-ი-ა' ის, მით უმეტეს უსაში-შრესი!

«მგრძნობელობა იმისი (სიყუარულისა) ჩემს გუ-ლ'-ში' მალე შეიცჳალა მდუმარედ სასო-წარკუეთი-ლებად; სასო-წარკუეთილებას არ შეეძლო ჰყოლოდა სხუა მესაიდუმლე, გარდა თავისის საგანისა, და არ უნდა დარწმუნებულ ვიყავ მე მაშინ თჳთ ჩემს თა-ვ'-ზედა-ცა, ამას თჳს რო' უმანკოება განქარდების იმა-ვე წუთს, როდესაც დაიწყებს მალულობას. მე არ ვუშლიდი ლეონსს ჩემს რაინდობა'-ზე' სიცილს, მაგრამ ჩემს გულ'-ში' კი ვფიქრობდი მომეპოვებინა ისეთი ღონის-ძიება, რო' როგორ-მე დამერწმუნებინა იმისი და მგრძნობელობათა ჩემთა საჩინოება'-ზე'.

«ახალ-გაზდანი კაცნი ჩვეულებრივ იქმნებიან თა-ვის-მოყუარენი და ყიფნი. გული არ მიზგვენებდა და მინდოდა სწორედ შემეტყო, შევარყიე მე თუ არა ვალერიას გული, და ამ სურვილს ზედ დაერთვა ეს იმედი-ცა, რო' ასე ალერსიანად არ მომექცევოდა მე ისა მხოლოდ მადლობის გამოისხობით.

«ვიმედოვნებდი ვალერია კიდევ' მოვიდოდა იქ, სადით-გან-ცა უყურებდა ისა თავისს რაინდს, და ამ ფიქრით ყოველს საღამოს დავსწანწალებდი სა-ვრიდოს გარეშემო, წამ-და-წამ ვიხედებოდი ფანჯ-რებისა-კენ, მარა' ვერ ვის ვხედევდი. შემდგომ, ერთს თუეს უკან ფარდა აიწია და ვალერია სი-ხარულის გამო მოსდგა ფანჯარას-თან თავისით

ერთ-გულით მოახლით ტერეზა-თურთ დ̃ გულ-ჩჳლით სახით მითხრა:

„ეტყობა გიყუარსთ აქ' სეირნობა, ჩემო მამაცო რაინდო? —

ამით მივხჳდი, რომ' ვალერია თუცა თჳთონ არ სჩნდებოდა მარა' ჴშირად მხედევდა საგრილო-დამ, დ̃ რომ' ტერეზას თანა-დასწრებით შემეძლო მე იმას-თან ლაპარაკი, როგორც რაინდს თავისს ბანოვან-თან. დ̃ ვუპასუხე მე სამიჯნურო-თი კილოვნებითა:

„დიაღ, ქალ-ბატონო, ეს არი' საყუარელი ჩემი ადგილი; აქა ვრორინებ მე კაეშანიანი, თუ შეიძლება კაეშნად წოდება იმ საგონისსა, რომელი-ცა სრულიად შეიპყრობს ჩემს სულს.

„ეგ საგონისი უეჭველად არის-ო დიდებისა თჳს? მე ვუპასუხე:

„დასტურ, დიდებისა თჳს, რომელი-ცა ღირსად ბედნიერებისა შეგვიქმს ჩვენ; დიდებისა თჳს, რომელმან-ცა უნდა გაამართლოს კადნიერი იმედი მგრძნობელის გულისა დ̃ რომელი-ცა მარად ამოვანი-ა' კეთილ-შობილთა სულთა თჳს. ის იქმნების ვარსკვლავად ჩემის სიცოცხლისა! მარა', ოჰ! დიდება ჴშირად ივლტის თავისს მეტრფეთა-გან; არა ყურად იღებს ზახილსა ჭაბუკის რაინდისასა, რომელი-ცა უხმობს იმას; დ̃ გჳან, გჳან მიემთხჳევის ისი თავისს ბრწყინჳალეს საგანს! დ̃ რა მიემთხჳევის, — მაშინ-ღა მხოლოდ ჯილდო იმისას ვაჟ-კაცობისა დ̃ შრომისა თჳს სხვის ყელ'-ში'-ა'; დ̃ ყოველი-ვე ის, რაღ-ცა უღირდა იმას დიდება, წარხდა სიყვარულისა თჳს!... ამ' ლექსმა', პირველ-ჯერ ჩემ-გან წარმოთქმულმა', აღანთვა მთელი პირის-სახე ჩემი; მარა' ვალერია

იყო რა ჩემ-ზე‘ უფრო წრფელი, ყურს მიგდებდა და არ სწითლდებოდა. ბოლოს მითხრა მე იმან:

«თქვენი ფიქრები ძლიერ სამწუხარონი არიან, პატივ-ცემულო რაინდო! არ გირჩევ გული მიაყო-ლოთ-ო თქვენ იმათ. მე მგონია, რო‘ იმედი იყოს მოყუასი მამაცობისა; და რადგან დარწმუნებული ვარ, რო‘ ჩემის რაინდის სურვილი თანა-ჰმა იყოს სათნოების კანონებისა, ამის თჳს ვსთხოვ მე იმას არა რის-თჳს-მე სახო-წარიკვეთდეს-ო» — მას-უკან უცებ შესცვალა იმან ლაპარაკი და იწყო ქება იმ შვენიერის არე-მარესი, რომელი-ცა წარმოუდგებოდა თვალთა, და სთქვა: — «ყოველ-თჳს სამწუხარო-ა‘-ო ჩემ-თჳს განშორება ამ ადგილებისა-გან; აქ ვატა-რებ-ო მე ჩემის სიცოცხლის საუკეთესოთა ჟამთა.»

«ჩემმა‘ სიყუარულმა‘ ან თუ თავის-მოყვარებამ‘ განმიმარტეს მე ეს სიტყვები ჩემს სასიამოვნოდ, და ნამეტნავად ის, რო‘ იმედი არი‘ მოყუასი მამა-ცობისა, და მხიარულად წამოველ ჩემს სადგომს სხვითა და სხვით ოცნებით აღვზნებული.

«მეორეს დღეს ფანჯარა დახშული იყო; მესამეს განეღო და დავინახე მხოლოდ ტერეზა, რომელმა‘-ც‘ მითხრა: -დონა ვალერია გაფიცებს-ო თქვენ ყოვლითა იმით, რა‘-ც‘ საყვარელი-ა‘ თქვენ-თჳს ქვე-ყანა‘-ზე‘, გამოიცვალეთ-ო ადგილი ჩვეულებრივის თქვენის სეირნობისა. ნუ რას დროს მარტოდ-მარტო ნუ ივლი-თ-ო ამ საგრილოს გარშემო. — სთქვა ესე და მიეფარა, და არ მაცალა პასუხის-მიცემა-ცა. ახლა თქვენ წარმო-იდგინეთ ჩემი თავ-ზარი!... ოჰ! რად არ მიტევა მე სასტიკის ჩემის მწუხარების საგანმა‘ ტანჯულ ვიყავ უიმედოდ — და მომკუდარ ვიყავ!...

«სული ჩემი შფოთევდა მრთელს ღამეს; ვფიქრობდი

ნეტა თუ რა მოხდა ასეთი? ხო‛ არ შთავაგდე მე ვალერია რასა-მე საყვედურის ქვეშ? ხო‛ არ ვადინე მე იმას ცრემლები? და ხან ამასა-ც‛ ვფიქრობდი, იქნება სრულებით არა ჰქონდეს რა სხვა მიზეზი ამის მეტი, რო‛ იმან ან ტერეზამ‛ იფიქრეს ცუდი შედგომილება რა‛-მე ამის-თანა ჩვენის ნახვისა და შეეშინდა იმ ქალს ავის მითქმა-მოთქმისა ვის-გან-მე. ამ‛ ჰაზრმა‛ დამამშვიდა და მე-ცა თანამდებ ვიყავ, თუმცა არა თვნიერ მწუხარებისა, განმემართლებინა ესეთი კეთილ-გონიერული სიფრთხილე.

«ამასობა‛-ში‛ გარდასწყდა ჩვენ შორის ყოველი შეუწყება; არა-და გვქონდა ღონის-ძიება რა‛-მე გვეცნობებინა ერთსა მეორისა-თჳს ჰაზრი და გრძნობა ჩვენი. და რა‛-და დამშთებოდა მე? ეს ნუგეში-და: რათამცა ვთაყვანებოდი ვალერიას, ვით ღმერთსა ჩემსა, და არა-და მქონოდა იმედი იმისის ნახვისა!

«ამის-თანა მდგომარეობა‛-ში‛ იმყოფებოდა სული ჩემი, როდესაც მოვიდა ჩემ-თან ლეონს მხიარულით სახით და მითხრა: ერთი კარგი საქმე მინდა გახარო და გითხრა ჩინებული საიდუმლო, რომელი-ცა ჩემს დას შეეხების და რომელი-ცა ჯერ‛ თჳთონ იმანა-ც‛ არ იცის-ო.

«ერუანტელმა‛ დამიარა მე ტან‛-ში‛ და ვკითხე შე-საძრწუნებელით შიშით: რა საიდუმლო?

«ჩემმა‛ მახარობელმა‛ მითხრა: ხო‛ არ იცნობ-ო შენ ფერდინანდ ოვანდეს... ძლიერ მდიდარს და ჩინებულს კასტილიელს აზნაურს?...

«და რა‛ არი‛? — ვკითხე მე.

«ისი თხოულობს-ო ჩემს დას...

«ამ‛ გაგონება‛-ზე‛ ავსთრთოლდი, გადავფითრდი, დავეცი თითქმის უგონო, უგრძნობელი... ცივი

ოფლი დამომდიოდა პირის-სახე‘-ზე‘. ლეონს და-პარაკობდა, მარა‘ ბოლოს მიხ·ჳდა, რო‘ არ მესმოდა იმისი როშვა: თვალები დამელულა, ტუჩები გამეყინა და თახთახებდენ... სული ვეღარ მოვიბრუნე... და მეგობარი ჩემი შეშინდა არ მომკჳდარ ვიყავ იმისს მკლავ‘-ზე‘... უბედურო! რის თჳს დაიცე შენ სი-ცოცხლე ჩემი? რად არ მიტევე უმანკოდ მომკ·ჳდარ ვიყავ?

«როდესაც მოველ გონსა, მინდოდა გ·ნგებ მო-მეავადმყოფებინა თავი, მინდოდა დამერწმუნებინა ისი, ვითომც ჩემი გულის წუხილი უბრალოს სისუსტისა-გან იყო; მაგრამ ვნახე, რო‘ ჩემის სახო-წარკვეთილების საიდუმლო ცხადად განემჟღავნა ლეონსს და ვსთქვი: საყვარელო მეგობარო! რა-და დაგიმალო... იცოდე, რო‘ სასიკჳდილო მეხი დაეცი შენ ჩემს გულს. ჩემი სიცოცხლე აღარ იქნება, მარა‘ არა ჴევილდა‘-ში‘ იყოს ადგილი ჩემის სიკჳდილისა. მშჳდობით საუკუნოდ!

«თავ-ზარ-დაცემულმან ამით ლეონს‘ დაიძახა:

«ოჰ, ღმერთო! რა უბედურობის მიზეზი შევიქენ-ო! ეს ამბავი რო‘ შეიტყოს-ო ჩემმა‘ დამ‘ ნაზმა‘, მგრძნობელმა‘, შენმა‘ მმადლობელმა‘ ჩემის ხსნი-სა-თჳს... არა, არა! უნდა დავუმალო მე იმას შენი უბედურება; თორე‘ იმასა-ც‘ დაემართება-ო რა‘-მე მწუხარებისა-გან. ერთმა‘ უბრალომ‘ ხუმრობამ‘ ასე როგორ შეგაწუხა-ო... სჩანს, რო‘ სიყჳარული საშინელი გულის-თქმა ყოფილა-ო. მაინც კი, ერთი მითხარ, რა იყო შენი განზრახვა-ო?

«ჩემი განზრახვა ის იყო, — ვუთხარ მე იმას, — რო‘ საქებარით საქმეებით შევქნილ ვიყავ იმისი ღირსი; მას-უკან შემეტყო თანა-კმა იქნებოდა ისა,

თუ არა, რო' მე კარგის სახელისა და წესიერის ქონების პატრონს მეთხოვნა ისა.

«მაშ' რაღად ხარ აგრე იმედ-გარდაწყვეტილი-ო? —მითხრა ლეონსმა'.—გამოუცხადე-ო მამა' ჩვენს შენი განზრახვა. მე ვიცი, რო' პატივს გცემს-ო შენ ისი, გრძნობს-ო შენის სიკეთის ფასს და იქნება გამჯობინოს-ო შენ იმ სასიძოს. მგონია იჭვი არ უნდა გქონდეს-ო ჩემს მეგობრობა'-ზე', და ვალერია-ც', რა საკჳრველი-ა', საწუხრად არ მიიღებს-ო შენს წარმატებას.

«ლეონსის სიტყვებით გამხნევებულმან ვსთქვი კიდე' მე: ეგების, საყუარელო მეგობარო, ერთი კიდე' მოიყუანო ვალერია საგრილოს და ნება და-მრთვას გესაუბრო იმისს გულს უმოწმებოდ, მა-რტოდ-მარტო. შენ თჳთონ ნახე, რო' ჩემი სიცოცხლე დამოკიდებული-ა' იმისს გულ'-ზე', და რადგან დღეს ცოცხალი შენ-გან ვარ, დარწმუნებული ვარ ჩემი სიკუდილი აღარ მოინდომო. დაიყოლიე ამა'-ზე' რო-გორ-მე, ჩემო ლეონს, საყუარელი ვალერია, და ნუ კი ეტყვი, რო' სხუა კაცი თხოულობს იმას.

«ვალერიამ' აღასრულა თავისის ძმის თხოვა, და ტერეზასა-ც' რა კი შეეტყო ჩემი წადილი, დათანხმებულ იყო ჩვენს მარტოობა'-ზე'. მივედ მე მარტოდ-მარტო და ისა-ცა მარტო მოვიდა: ფანჯრის გაღება'-ზე' გამედო მე ცაჲ-ცა. ნუგეშინის მოიმედე, სევდიანი სიყუარული ახალ-ახლითა ეშხითა განაშვენიერებს თავისს საყუარელს საგანს. ვალერია წარმომიდგა თვალ-წინ ისე პაეროვნად, რო' ჯერ' ისე შვენიერად არას დროს არ მეჩვენებ-იყო მე ისა! გამომეცხადა ვით ვარსკულავი, რომელი-ცა, ხომალდის დანთქმის დროს, ზღვის მგზავრებს განუახლებს იმედსა.

«ღელვილმან იმისით ნახვით, ვუთხარ მე იმას: როგორ შემიძლიან სიტყვით გამოვსთქვა ის ნუგეში, რომელსა-ცა ვჰპოვებ მე თქვენს აქ' ყოფა'-ში'; მარა, როგორც დამატკბობელი-ა' თქვენი ნახვა, ისე დამამწარებელი უნახავობა. ოჰ! რა სატანჯველი-ა' თჳნიერ სატრფოსა საგანისა თჳლთა ჟამისა წამთა, რადგან შეუძლებელი-ა' მოსწრაფება იმათის სიმდინარისა!..

«პასუხად მითხრა: მე ვსთჳლი-ო იმათ, თუმცა თქვენი სიმხნე-ც' არა მაქჳს-ო.

«ამის-თანა პასუხს შეეძლო დავეჯილდოვებინე მრთელს საუკუნეს ტანჯვისა-თჳსა-ცა.

«დავარწმუნებდი მე იმას ჩემს უტრფიალესს, მგზებარეს სიყუარულ'-ზე' და მრწოლით მინდოდა ნება მეთხოვა განმემჟღავნებინა იმისის მშობლისა თჳს ჩემი გულის-ზრახვა; მარა' თჳთონ იმან-ვე თავისით გულ-წრფელობით დამასწრა და მითხრა: ფორმოზ! მე და ერთ-გულმა' ჩემმა' ტერეზამ' ვიფიქრეთ-ო თუ რა მითქმა-მოთქმა შეუძლიან შვას ბოროტმა' ენამ' ჩვენს სამიჯნუროს ნახვა-ზე'. იჭვი არა მაქჳს, რო' გიყვარვა-რო მე თქვენ და ლეონსი-ც' ამა'-ზე' მარწმუნებს მე და ჰფიცავს თქვენ თჳს; მარა' თავ-ზარი მეცემა, როდესაც წარმოვიდგენ-ო თქვენს უბედურებას. თქვენ ბძანდებით ჩვენი კეთილის-მყოფელი: უთქვენოდ მამა ჩემი დაჰკარგავდა მხოლოსა მემკვიდრესა, მხოლოსა იმედსა. დია' კარგად ვიცი შთამომავლობა-ცა თქვენი და ესე-ცა, რო', როგორც ისმის, არ-ც' სიმდიდრე გაკლიათ-ო თქვენ. ისარგებლეთ-ო შემთხვევით თქვენს სამჯობინაროდ, მარა' ისე კი მოახდინეთ საქმე, რო' ქვეყანა'-ში' შემეძლოს მე ჩემით მეუღლით ეგოდენ-ვე თავის მოწონება-ცა, რაოდენ-ცა მეყუარების მე ისი,

როგორც მამაცი, ერთ-გული ჩემი რაინდი!

«საშინლად დელვილმან ამ‘ ტრფიალებითა აღვუ-თქვი მე იმას გამემჟღავნებინა ჩემი განზრახვა მარკიზისა თჳს, და გამოვესალმეთ ჩვენ ერთი მეორეს სახარულევანით იმედით.

«ლეონსმა‘ დამისახელა მე კაცები, რომელთა-ცა იმისი მამა უნამეტნავესად ერწმუნებოდა და პატივ-სცემდა. რომელნი-მე იმათ-განნი მენათესავებოდენ კიდეც მე და კმა-ყოფილებით მიმეგზავნენ იმას-თან.

«მარკიზს გულ-გრილად და მართებულად მოესმინა იმათი მოციქულობა; გექმ მე მძლავრით, მარა‘ სიყვარულიანით სახით; ეთქვა იმათ თჳს, რო‘ ნათესავობა ფორმოზისა პატივად უნდა მიაჩნდეს-ო ყო-ველს კეთილ-შობილს საგვარეულოს; რო‘ მმადლობელი-ა‘ ისი ჩემი ამის-თანა იმის თჳს თავის-მოსაწონებელის საქმისა თჳს, რადგან სხვებს ისი ვარჩივე მე დასამოყურებლად; იმედეულობს ისი, რო‘ კეთილ-ცხოვრებითა ჩემითა უმეტესად განვადიდებ ჩემის მამა-პაპის დიდებულებას; მარა‘ ჩემის ქალის გათხოვება კი ისეთი მძიმე საქმე არის-ო, რომელი-ცა მოითხოვს საფუძვლიანს განსჯას და დროს.

«ეს პასუხი თუმცა სრულებით საიმედო არ იყო, მარა‘ არ-ცა თუ უიმედო. მარკიზ იშვითად აქებდა კაცსა და ამის თჳს ეს იმისი ნიშატი უფრო მომატებულს ფასს სდებდა იმის-გან ჩემს ქებას. ამას-თანა-ვე ვნახეთ რა, რო‘ უწინდელსა-ვით ალერსიანად მომექცეოდა მე ისი, მე და ლეონსმა‘ გული დავაჯერეთ, რო‘ დროს გატარება უნდოდა იმას მხოლოდ იმის-თჳს, რათამცა მართებულად დაეთხოვნა და თავი-დამ მოეშორებინა დონ ფერდინანდი. ვალერია და ტერეზა-ც‘ ასე-ვე პფიქრობდენ და ამის თჳს კავშირი

ჩუენი უფრო სარწმუნო და მჭიდრო შეიქმნა. ტერეზა იშიშვიდა ცუდად არ ეფიქრა ხალხს ჩემი კშირად ნახვა საგრილოს ფანჯარას-თან, და ამის თჳს გვირჩევდა ერთმანერთის ფარულად ნახვას, რათამცა გამვლელ-გამომვლელთა არ დავენახეთ: აი კიდევ ახალი ბიძგი უფსკრულისა-კენ!

«ყოველ-თჳს შემეძლო სიარული ლეონს-თან, და იმას-თან ერთად ბაღ‘-ში‘; არა ვინ იმ სახლისა-განი არ გვათვალიერებდა ჩვენ. საგრილო იყო ბაღის დასასრულ‘-ში‘, — ვალერიას და ტერეზასა-ცა შეეძლოთ მოსულ იყვნენ იქ‘ მეორით მხრით, და თუნდა დაგვ-ნახვეთ კიდევაც‘ ვის-მე ჩვენ ერთად, მაშინაც‘ ვერ ვინ მიიტანდა ჩვენ-ზე‘ ცუდს იჭვს, რადგან ჩემი მეგობარი და ის მოახლე იქ‘ იყვნენ. ამ სახით უმეტეს და უმეტეს მივეცემოდით ჩვენ წარსაწყმედელსა საცთურსა.

«არ შეიძლებოდა უწრფელეს ყოფილ იყო რა‘-მე ჩვენს სატრფოს საუბარ‘-ზე‘ იმ განმარტოებულს საგრილო‘-ში‘ და თჳთონ მხიარული ლეონსი-ცა იყო ხოლმე ჩვენ-თან განკრძალვით და მშვიდად. სიყვარული ჩემი ემსგავსებოდა თაყვანის-ცემასა, და ტრფიალება ვალერიასი ყოველ-თჳს დაიფარვებოდა უწმინდესის მეგობრობის პირ-ბადითა; ჩემი მეკიდულობა-ცა და სიტყვები-ცა აღმოაჩენდნენ გულითადსა სიმხდალესა, ვალერიას თვალები მოიქცეოდნენ ჩემ-კენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ენება იმას იმათით განეცხადებინა მადლობა ჩემის სწავლულისა თჳს, რათამცა ბედნიერება იმისი თანა-სწორი ყოფილ იყო იმისის ღირსებისა და შვენიერებისა. მარა‘, ვინ იყო დანიშნული ბედის-წერისა-გან იმის გასაბედნიერებელად? ნუ თუ მე? ეს ჭაჭარი მიმაჩნდა მე თითქმის ღალატად,

თუცა ლეონსს სრულებით იჭვი-ც' არ ჰქონდა ამა'-ზე'. პატივის ცემით ლაპარაკი ჩემ-ზე' მარკიზისა, ალერსიანი მიღება იმის-გან ჩემი და სამარადისო რჩევა იმის-გან თავისის შვილისა, რათამცა მმეგობრობდეს მე... ერთით სიტყვით, შევკრიბეთ ჩვენ ყოველი-ვე სხივი იმედისა ჩვენის თავის მოსაცთუნებელად საშიშარით და სასიამოვნოთი ლანდებით. მეუღლეობის ფიქრი წმინდა-ჰყოფდა უმანკოს ჩვენს სიყვარულს: მარა' რადგან დამშვრალი ვიყავ გულის-თქმითა, რომელი-ცა დაუდგრომელ უნდა მეპყრა და მევუბნებინა გულ'-ში', და რომელი-ცა თან-და-თან ძლიერდებოდა, დასსრულ განვიზრახე მე წიგნის მიწერა ვალერიას-თან იმ იმედით, რო' მომიტევებდა მე ისა ესეთს კადნიერებას... აღვუწერე მგზნარე სიყვარული ჩემი და ის სატანჯავი მოვალეობა, რომლითა-ც' იძულებულ ვიყავ დამეფარვა სიყვარული ჩემი იმისის მშობლის ნება-დართვის მოლოდება'-ში' და იმ საშინელს უკოდინრობა'-ში', თუ როდის მომეცემოდა ნება მიმეშვა გული ჩემი გაფრენილი იყო თავისს საგან-თან.

«სასო-წარკვეთილით და ჭმუნვარით სახით მივედ მე საგრილოს. ლეონსს უნდოდა შეეტყო მიზეზი ჩემის მწუხარებისა. პასუხად ვუთხარ მე იმას, რო' არ შემეძლო იმისი თქმა, და ამასობა'-ში' ჩემი გული ნანდვილ შეცული-ა' მეოქი მწუხარებით და დიდით მოუთმენელობით მოველოდები იმ წამს, როდესაც ნება ექნების იმას აღსრებისა. ჩემმა' სიტყვებმა' შეაწუხეს ვალერია. მინდოდა მესარკებლნა ამის-თანა იმისით განწყობილებით და მივეც იმას საყვედურო წერილი. იმა'-ში' ვსწერდი მე:

«მდგომარეობა ჩემი საშინელი-ა' და მხოლოდ საყვარელს ვალერიას შეუძლიან ნუგეშ-მცეს, გა-

მამხნოს მე. ოჰ! იყავით მოძღვრად ჩემდა; იყავით ანგელოსად მფარველად ჩემდა!»...

«და აღვუწერდი რა იმას იმ სატანჯველს უცოდინრობას, რომელ'-ში'-ც' დამიტევებდა მე გრძელ-ჟამიერი მდუმარება იმისის მამისა, აღვიარებდი მე, რო' ვერა უბედურება რა ჩემს სიცოცხლე'-ში' ისე ვერ მძლევდა მე, როგორც მარკიზის უარი, რომელისა-ც' გარდათმენა არ შემეძლო მე.

«ჰა, საუბედურო მგრძნობელობაო! ვალერიას, —როგორც შემდგომ'-ში' მითხრეს-, განებანა ცრემლით ჩემი წიგნი... «ღმერთო ჩემო!—ჰფიქრობდა თურმე,—:ფორმოზმა' დაიცვა სიცოცხლე ჩემის ძმისა და შემოგვწირავდა ჩვენ თავისს საკუთარს სიცოცხლეს, და მამამ' რო' უარი უთხრას, ან მალე არ დაამშჳდოს ისი, უთუოდ სასო-წარკვეთილებას მისცემს ისი თავსა და ნუგეში უნდა ვსცე-ო მე იმას.«-და ამ განზრახვით გაებედნა იმას ჩემ-თან პასუხის მოწერა, და იმისი წიგნი იმისა-ვით იყო საყვარელი, საგრძნობელი და კეთილ-გონიერი. დასასრულ'-ში' იწერებოდა ამას:

«მომატებულს სიჩქარეს შეუძლიან უბედურად დასრულდეს-ო: მამა ჩემი თავისის ნების კაცი-ა'-ო; თქვენმა' მოუთმენელობამ' იქნება განამწაროს-ო ისი. მივანდოთ-ო იმას ორთა-ვესი ჩვენი ბედი. მოთმინებითი მდუმარება და სიმტკიცე იმისის ქალისა მაგალითად წინ გიძევსთ-ო თქვენ. დაიცვეთ, დაიცვეთ ის შეურყეველობა, რომელსა-ც' აღმითქჳამს მე თქვენი დევიჩი, და რომელი-ცა იქმნების-ო სათნოებად ბედნიერსა-ცა და უბედურსა-ცა სიყჳარულ'-ში'.»

«ამისს პასუხად მივსწერე მე-ცა ფიცი თაყჳან-მეცა მე იმისა თჳს, როგორც ღმერთისა თჳს; ვფიცავდი ყოველ'-ში'-ვე დავმორჩილებოდი იმას, შევსდგომოდი

## მოთქმით ტირილი საქართველოს მეფისა ღერკულეს ნეტარებისა ღირსისა.

დღეს ქვეყანა აღსრული გულის წყრომისა ტახტსა ზედა: ცხებული სისხლითა ცესარისა დიდისა ეკატერინასითა; დღეს იცჳლებს კრძალად უფასოსა სისხლსა სახსარსა იბერიელთა გვარისასა; დღეს ციურთა საკჳრველება მოშურნე ექმნა ქვეყანასა საკჳრველსა. ცამან მისტაცა ქვეყანასა სიმდიდრე, ძლიერთა ძალი, ბრძენთა გონიერება, ერთა გვირგვინი, მხედართ მთავართ სარდლობა და თჳთ მპყრობელთა საჴელმწიფო ზრდილობა.

დიდნო მფლობელნო, დიდნო იმპერატორნო! სტიროდეთ ახლად ქვეყანისა დიდებასა, სტიროდეთ სახლსა უავგუსტესსა თქუენსა; შერაცხდეთ ცუდად სოფლისა დიდებასა, ისმინეთ ესე სახსოვრად სასმინარი: მოკუდა ღერკულეს უძლეველი მეფეთა და მზესა ქუეშე, და იხილეთ, და ყოველი ამაო.

და თქუენ მტირალნო ნათესავნო ქართლოსანნო, სარკინოზთაგან უძლეველნო მხედარნო! გიძღოდათ მეფე მოისებრ ისრაელთა, გესმოდათ ჴმა-მპატრონისა თქუენისა; მახარებელად თქუენდა იყო ბიბლია: არა მოაკლდესო მთავარი იუდასაგან. იუდა ლომი სახლისა სადავითოსა ჩარის სახელდელად, მტერთა თქუენთა მყვირალი. დღემდე დაშქრვილა სამთა იმპერიათა: ოსმანთა, სპარსთა და კავკასიისა ერთა, დღეს გაილაშქრა ციურთ ურიცხვთა ზედა ერთმან მარტომან უძლეველმან რაინდმან. ძველი ღერკულეს ძველის ახილესითურთ იყვნენ ძლიერნი ქვეყანისანი მოკუდავ; ესე უკუდავი მეფე მპატრონი თქუენი ცი-

ურთაც მაღლთა უკვდავითა მალითა სძლევდა და განვლო სამყარონი ცათანი.

თუმცა დავაკლდით საზოგადოს მამასა და სახსოვარსა მეფესა და პატრონსა; გარნა კმა იყო ესე დიდებად თქუენდა, ვიდრემდის იყო იგი, და სადგან აქა; ადიდა სახლი, ადიდა გვარი თჳსი, ადიდა სიმხნე თქუენ ქართველთა ცათამდე, და აწ აღვიდა ანგელთა დასისა თანა. გარნა აქაცა და მუნ ცოცხალ არს იგი; რად სტირით, მენო, ობოლნო მამისაგან!

და შენ შესაკრებელო სახლო ივერიელთ ნათესავთაო, ტაძარო ათორმეტისა სკიპტრისაო; რად სტირი, სადავითოვ სახლო, დიდისა მეფისა ალექსანდრესაგან დიდებულო სახლო, თეიმურაზ პირველისაგან ამაღლებულო სახლო, წმინდის ქეთევან დედოფლისა სისხლით ცხებულო სახლო: სადაც კმა იყო სიხარულისა და ცხოვრებისა, და იყავ საყოფელი მართალთა, რომელშიაც სანატრელი მეფე თეიმურაზ და დედოფალი თამარ მეფის ერეკლეს შობაზე იხარებდენ, რომლისაც საწოლში მეფის ერეკლეს სადღესასწაულო შობა იდიდებოდა, და სადა სახსრად ქართველთა ნათესავთა მეფე ერეკლე, ლომი იუდასი, დავითის სახლში იზრდებოდა; რომელშიაც ჩვეულება იყო გაცხრომისა; სადაცა კმა ისმოდა დავითის ქნარისა: აქამდის შენს მეჯლიშში მეფის ერეკლეს სახსოვარი უმაწვილ კაცობა ქვეყანას აკჳრვებდა, რომლისაც სიჭაბუკე ქვეყნის მტერთ სჩაგრევდა; აქამდის შენს მეჯლიშში მეფის ერეკლეს ტახტზედ ჯდომა იხილვებოდა; იმისი კელმწიფური დარბაისელთ ხუმრობა მიმოითქმოდა, მეფის ერეკლეს მრავალ საკალობელი სადღეგრძელო ისმოდა.

რად სტირი, სადავითოვ სახლო! თუ ოსმანთ და

იპყრეს საყდარი მეფობისა შენისა, საკურთხეველი წმინდა დჳთისა, ერეკლე სიმრთელით ბრძანდებოდეს, რომელმაც ხერთვისის დამპყრობელისა და ასპინძას მტრის სისხლში გამოწრთობილის კრმლით ხვანთქარს სპარსეთის კელმწიფეს ქარიმხანთან საჩივარი მიაწერინა: მეფე ერეკლე სარათის ქვეყნებს მართმევს და შენ დაუშალეო. ქარიმხანცა იტყოდა: მეფე ერეკლე ასეთი რამ ბძანდება, რომ ხვანთქარი ჩემთან საჩივლელად დაამუხლაო; მაშინვე უძლეველობის ნიშნად საკელმწიფო კრმალი მოართვა.

რად სტირი, სადავითოვ სახლო! თუ სპარსთ დაიპყრეს შენი უმაღლესი ტახტი, შენგან წინაპართ შობილთ მეფეთ შარავანდედი მეფე ერეკლე ცოცხლებდინ საუკუნოდ; რომელმანც საქართველო ნადირ ავშარისაგან გამოიკსნა და ფათალი ხან ავშარის მეფე აზატხან ათასი ერთით წარიქცია; რომლისაც დიდება მოურემ ალექსანდრემ, პრუსიის მეფემ ფრიდერიკოს თეორზე დაწერა: ევროპაში მე ვარო და აზიაში დერკულეს უძლეველი საქართველოს გიორგიანთ მეფეო.

რად სტირი, სადავითოვ სახლო! ვინემდის ახალი მოსე ისრაელთა მეფე ერეკლე. საქართველოს მხედრობას წინა უძღოდა, და საქართველოს რად ვანბობ, ამ სახელოვანს სახელს დიდის როსიიდამ გამოჰყავს ლაშქარი, ცაპირიდამ მოჰყავს სამხედრო დიდი, ვის შეუძლიან შენი დამდაბლება; როდესაც მეფის ერეკლეს ბედნიერი დროშა გაიშლება დაფისტყენლნი ლაშქრათ აღსდგებიან, ოსნი და ჩერქეზნი მეფის ერეკლეს წინ სისხლის დათხევას ხალისობენ.

რად სტირი, სადავითოვ სახლო! როდესაც მეფის ერეკლეს ბედნიერი ტახტზე ჯდომა გედირსა, ყოველსა წინა საუკუნეში იდიდე, უფრო ამაღლდი, უფრო

გაბედნიერდი, ცანი ქუხილით გრგვინვიდენ ძალსა შენსა, სფერა ქვეყანისა გეძრწოდენ ფერხთა ქუეშე.

მაგრამ, ვაჲ თუ დიდება ესე შენი ჰერკულეს მეფეს საფლავად მიეცვალოს! ვაჲ თუ საქართველოს საფარველში გარდახურვილი მეფის ერეკლეს ბედნიერი დროშის კალთები აგვეხადა! ვაჲ თუ ის უმაღლესი თავი, რომელიც იაკობის კიბეთ ცას მიჰდგომოდა და მზესა ქუეშე ქვეყანაზე არ ეტეოდა, საფლავის სიღრმეში დაეფაროს!

ის ძლიერი თვალები, რომელისაც ზეით ახედვა ცებს აჭკეცდა და ღვთაების საყდარს მიედგმოდა; რომელიც სამხვერპლოსა ზედა აბრაჰამისსა განკვრვებით მდგომარე მუხასა ქუეშე სამებას ისტუმრებდა, რომლისაც დახედვა ქვეყანას გახსნიდა და უფსკრულში ღვთის საკვირველებას უჩვენებდა. სფერა ქვეყანისა ერთს გუგაში გარე-შეეცვა, და ცასა და ქვეყანასა ორს ფურცლად კითხულობდა, ვაჲ თუ საფლავად დაერულოს! ვაჲ თუ უძლეველი ხელები, რომელისაც ხრმლის ვადაზე დადება, სიკუდილსა მახარობლობდა, ტრფიალით სატკივრად გულზე დაკრეფილი იყოს!

ვაჲ თუ ის მაღალი და ჩვეცას ანგელოსთაგან სამწიგნობრო სახლი მეფე ერეკლე, რომელიც ცის კალთებზე იწერებოდა, და ქვეყანის მპყრობელთა ჴელმწიფეთა ფეხიჩქლად ამინებდა და მძინარეთ საშიშრად ესიზმრებოდა, ამ სადღესასწაულოს სახელის მოკსენებას საქართველოს ეკლესიები მოჰკლებოდეს!

მაგრამ ცა და ქვეყანა მეფის ერეკლეს მახსოვარნი არიან, მზე და მთოვარე იმის ბედნიერს ლაშქრობაში ხან-დაზმულნი არიან, დღისით მზე იყო მეწინავე სარდალი და ღამით მთოვარე, მეფის ერეკლეს გამარჯვებულს დროშას წინა უძღოდა სისხლით მტერთათა

იმისს ნებას,—და ამ სახით გაიმართა ჩვენ შორის საიდუმლო მიწერ-მოწერა, ურთი-ერთობრივი შეკავშირება სულთა, რომელიცა არი' უსაშიშრეს ყოვლისა სიყვარულ'-ში'

«ჩვენს მიწერ-მოწერა'-ში' გამოიხატებოდენ-იმისით მხრით: გონიერება, გულ-კეთილობა, ბუნებითნი სათნოებანი და სატრფო უმანკოება; და ჩემით მხრით: უცხოველესი გულის-თქმა, სამარადისო განუსვენებლობა, მოუთმენელნი წადილნი და ყოველი-ვე ის, რაიცა იშობის მგზნებარის გონების გამომხატველობისა გან და სიყვარულით დამათვრალის გულისა გან. და ისე ფრთხილად მივაწუდიდით ჩვენ ერთი მეორეს ჩვენს წიგნებს, რო' ჩვენს მოწმებსაც' კი არას დროს არ შეუმცნევიათ ჩვენ თჳს ის. მგრძნობელობათა ჩემთა ცეცხლი უჩინრად გარდავიდოდა ვალერიას გულ'-ში' და ჩემის გულის-თქმის უგუნურებასა ხან-და-ხან უნდა ემოქმედნა იმისს სულ'-ზე'.

«მე ვიყავ დარწმუნებული სატრფოს იმისს სიყვარულ'-ზე', ისა იყო დარწმუნებული ჩემს გულითადს პატივის-ცემა'-ზე', ჩემს მგზნებარეს გულის-თქმა'-ზე', და ამ სახით ორნივე ჩვენ ერთად ვსტკბებოდით ამის-თანა საამურით ლანდებით ისე, რო' არა რომელი მდგომარეობა ქვეყანა'-ზე' არა გვეჩანდა ჩვენ შესაშურებელად; ჩვენით ფიქრით, არა ვის შეეძლო ჩვენ-ზე' ბედნიერი ყოფილ იყო,-არა ვის, ჩვენს გარდა. მარა' ეს მოხიბლვა მალე განქარდა.

«ერთ-ხელ მოვიდა ჩემ-თან ლეონს შეშფოთებულით სახით და მითხრა: საყუარელო მეგობარო! არ ვიცი უეცრად რა დაემართა ვალერიას და რამ დაადონა-ო; საშინელი ბნელი სასო-წარკვეთილება გამოიხატება-ო იმისს პირის-სახე'-ზე'. ტერეზა და მე

გამოვკითხავდით იმას მწუხარების მიზეზს; მარა' არა გვითხრა რა'-მე ამის მეტი, რო' მხოლოდ ფორმოზს გვეტყვი-ო ჩემს გულის-პასუხს. მამა აპირებს-ო შინა-დამ გასვლას; ჩვენ მარტონი ვიქნებით-ო, და დიჯეთის გულისა თჳს წამალი ნახე-ო!»

«მაშინ-ვე გავყევ მე ლეონს და ბაღ'-ში' დაგვხვდა ჩვენ გალერია. ჴელით ანიშნა იმან თავისს ძმას წავეყვანე მე იმას საგრილოს, და წამსა-ვე თჳთონა-ც' მოვიდა იქ' თავისით მოახლით და უთხრა იმათ გულ-გრილად და სევდიანად: «მე ფორმოზ'-თან' საიდუმლო მოსალაპარაკებელი მაქვს-ო და ცოტას ხანს თავი დაგვანებეთ-ო».—რომლესაც გავიდნენ ისინი და დავრჩით მარტოდ ჩვენ ორნი, მაშინ მითხრა მე იმან:—თქვენ აღთქმა გაქვსთ-ო ჩემ-თან დამემორჩილებოდეთ მე: ახლა დასდგა-ო გამოცდის დრო. მე გუბრძანებ-ო ჩემს საყვარელს მეგობარს ორს სამწუხაროს მოვალეობას; მარა' წინად-ვე უნდა შემომფიცოს მე იმან, რო' აღასრულებს-ო იმათ.

«გულ-გაპობილმა' ვუპასუხე მე: მესმის რა'-ც' გინდა სათქმელად,—უნდა ვიცოცხლო და განვშორდე. არ შეგიძლიან შენ ჩემი იყო; შენ იქნები სხვისა და ამასა-ც' მოითხოვ ჩემ-გან სასტიკო, რო' ვიცოცხლო კიდეც მე! არა, არა! ვერვინ მათქმევინებს მე მაგ საშინელს ფიცს!

«მაშინ დაქენჯნილმა' იმისმა' გულმა' აღმოსთხივა ცრემლნი მწარენი, და სთქვა იმან:» დიაღ მართალი-ა', მამამ' გარდასწყვიტა-ო სვე ჩემი. ხვალ მოვა აქ' ფერდინანდ დ'-ოვანდეს და ერთს კვირას უკან ვიქნები-ო მე იმისი ცოლი. მე თჳთონ გავბედე გამოგიცხადო შენ ეს საშინელი უბედურება და გამოგესალმო საუკუნოდ, რადგან ვიშიშოდი-ო მე, რო'

უეცრად არ შეგმტყუო შენ ეს ამბავი ლეონსისა გან და სასო-წარკვეთილებით არ აგეტყვა რა შენის თავისა-თჳს. ოჰ! შენი სიცოცხლე არ შეერთდება ჩემს სიცოცხლეს და არ განშვენიერდება გულთა ჩვენთა ურთი-ერთობრივთა ტრფიალებითა, მარა' ყოველ-თჳს სატრფო იქნება-ო ჩემ-თჳს! ფორმოზ! ნუ დაივიწყებ, რო' ჩემი სიცოცხლე დამოკიდებული-ა'-ო შენს სიცოცხლე'-ზე', და არა ერთს, არამედ ორს გულს განგმირავ-ო შენ. მე შემიძლიან-ო გარდავითმინო ჩემი უბედურება, მარა' შენს სიკუდილს კი ვერ გარდავითმენ-ო.»

«ენა-დადუმებული ყურს ვუგდებდი მე იმას გული-ს-წყჳსილით, არა ვიხრავდი და არ ვსტიროდი. გული ჩემი შეიწროვდა, თვალები გამიშრა და შინაგანი ცეცხლი შესწუავდა ჩემს ნაწლევებს. ბოლოს წარ-მოვსთქვი მე სამწუხაროთი ჴმით: ყოველი-ვე გათავდა! ფერდინანდ მამჯობინეს მე! ფერდინანდ იქნება შენი მეუღლე!... არა, არა! არ გიყუარდი მე შენ, არ გიყვარვარ, მომატყუვე შენ მე!...

«ამ' სიტყვის გაგონება'-ზე' ვალერიამ' სთქვა:» მე მოგატყუე შენ, სასტიკო კაცო? განა ისეთი უწყალო ხარ-ო შენ, რო' უმეტესად დასტანჯვო ჩემი დაქენჯნილი გული? განა თავის-უფალი ვარ-ო მე? განა შემიძლიან-ო მე ჩემის თავის პატრონობა? განა მე თჳთონ ვამლევ-ო იმას ჩემს თავს?... მტა-ნჯველო ჩემო! შთა-სთხიე-ო გესლი ჩემს გულ'-ში' და სახიჩრად გამომაჩინე-ო თჳთ საკუთარს ჩემს თვალ'-ში'! ყოველი-ვე ესე შეგიძლიან-ო შენ; შე-გიძლიან-ო, რადგან უბედურმა', უგუნურმა' სიყვა-რულმა' მოგცა-ო შენ ეს საშინელი უფლება. მარა' ჯერ' კიდე' დიდ-ხანს უნდა ვიცოცხლო მე და ვიტანჯვო

და კიდე' მოვასწრობ-ო ჩემის სისუსტის მონანიებას. პირველი მოვალეობა ჩემი არის-ო მორჩილება მშობლისა; შემდეგ ნება ღმრთისა არის-ო. ვსასოებ-ო, ვსასოებ-ო, რო' ისი გარდამომივლენს-ო მე ძალსა»...

«ჩემის დავიწყებისა თჳს?...– დავიყვირე მე.

«ჰო, შენის დავიწყებისა თჳს-ო.

«მაშინ ამოვიღე მე ჴმალი თავის მოსაკლავად და დავიღრიალე საშინელით ჴმით: შენ დამივიწყებ მე!

«მთრთოლარე, გონება-დაბნეული მომვარდა მე ისა, შემტაცა ჴელი, მომეხვია და ზარ-განხდილი შემომძახა:

«შ ე მ ი წ ყ ა ლ ე! მ ი ხ ს ე ნ, მ ი ხ ს ე ნ მ ე!»

«ღმერთო! რა საშინელი ცჳლილება მოხდა ჩვენს გულ'-ში'! წარმოიდგინეთ უწესოება მწუხარებისა: მკერდი იმისი ღელავდა ჩემს მკერდ-ზე', ცრემლები სცვივოდენ იმას პირის-სახი-დამ ჩემს სახე'-ზე' და მორწყვიდენ მგზებარეთა ბაგეთა ჩემთა; სუნთქვა შესდგებოდა შმაგს კოცნა'-ში'... კოცნა'-ში'!... ოჰ! შიში, სასო-წარკვეთილება, მორცხვინება, ქალწულება, უბიწოება, ყოველივე წარხდა!.. დავუშვებ ფარდასა ჩემს სჯულის-გარდამავლობას!

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

(დასასრული იქნება შემდგომს წიგნში.)

შეღებილი მთა და მინდორი მეფეს ერეკლეს მოუთხრობენ. ვის შეუძლიან დავიწყება? ვის მოსვლია კეისართაგან ტახტი, გვირგვინი, პორფირი და ნაირადი?

მაგრამ, კეთილმწიფეო, რად გვიხაროდა შენი კეთილმწიფური ცხებულება, თუ კი სამკვდროს ჩვენს იცნენდი; რათ გვინდოდა საკეთილმწიფო პორფირი, თუ კი დასამიწებელს სუდარს გარს მოიხურვდი; რათ გვინდოდა განსაგებელი სკიპტრა, თუ კი სკიპტრის მპყრობელს კელებს გულზე დაიკრეფდი; რათ გვინდოდა ქვეყნის მაჩრდილებელი დროშა, თუ კი მტერზე გარდახურვილს შენის შიშის ჯარდას ახდიდი; რად გვინდოდა საკეთილმწიფო ტახტი, თუ კი დასამიწებელს საფლავს იშენებდი...!

ივლოვდი, ქვეყანავ, რომელიც უძვირფასესითა სპეკალითა ამდიდრებ სიტყვიერთა; გარნა სიმდიდრე გრძნობადთა და ცნობიერთა, მეფე ერეკლე შენს სიღრმეში დაჰფარე.

განჰკრთი, განჰკვირდი, სტიროდე, ცაო, რომ შენის სითალხისა და ვარსკვლავთაცა, აბრაჰამისებრ, განკვრვებით მხედველი მეფის ერეკლეს უმაღლესი თვალები საუკუნოდ დაბნელდა.

დაბნელდი, მზევ, რომელსაც გაქვს მოსასწავებელი დაბნელებით ჯვრის უფლობა, რომ მზე მიწიერი, ქართლისა მეფე ერეკლე, შენს ბრწყინვალებას ვეღარ ჰხედავს.

ზეციერნო მალნო! აქამდინ თქუენი დღესასწაულობით მასპინძელი, ახლა თქუენი სამგლოვიარო სტუმარი მეფე ერეკლე გესტუმრათ. თუმცა სამეფოს დიდებით ვეღარ ნახავთ, საფლავის ტუსაღი გეგებებათ. მაგრამ თქუენ როგორც თავისის ზენიის ქუეყან დედოფლის სისხლი, ისე შეიწყნარეთ, ასე ისტუმრეთ; როგორც

დიდს კონსტანტინეს, ისე მოეგებენით.

მაღალო და ძლიერო ღმერთო! დაგაკლდით ერნი ქრისტიანენი მემკვიდრესა, პატრონსა და საზოგადოსა მამასა, ძლიერსა და მხნესა მამაკაცსა. ჩვენ გსტიროთ, და მეფე ერეკლე, თავი, განმგებელი ერისა, კელთ, მზრდელი ობოლთა, მკლავი, მომგერებელი მტერთა და გვამი შრომის მოყვარე მისს საფლავში იდეგვა. შენ გევედრებით იესოს სისხლით ცხებულს, მეფის ერეკლეს კაცთ მოყვარეს სულს ნუ შეაწუხებ, იმისგან დაობლებულს საქართველოს მოხედე.

სად დაჭკნეთ მშვენო სამეფოთა სირათა და ბაგრა-ტიონთ გვართაო! რომელისა დისკოსა ნათელს იღებდენ გონიერნი, სად არის კეთილმწყობი, შენი კეთილმწყობური განგება? რად შემოიხსენ ხრმალი, რომლისაც სად-ღესასწაულო გამარჯვება რიცხვით ხსოვნას ასცილდა? რად შემოსწყვიტე სახელოვანს დროშას, რომლისაც ქვეშში მომცურავი კალოენი ქვეყანას აწრდილებდა და სამხედროდ განწყობილის ზორტებით ცის კალოებს ებრძოდა, სადაც დერეკულეს მეფის უძლეველობის სტანზა ჩვეცას იშექდებოდა.

რად აღიღე სახლი უმაღლესი, თუკი საუკუნოდ დასცილდი; რად მიეც სიამაყე დედოფლობისა შენს უმაღლესს ფერცხალს, თუ ასე დასჩაგრებდი; რა გაწყინა დედოფლის დარეჯანის დიდებულმა სამშო-ბლომ? რად მოსტაცე დიდება დადიანის ოჯახს? რად აღიღე შენს უმაღლესს ტახტზე? თუ იღიღე, რაღა დაამხე? რად უდარტე დედოფალს ქმრითა და შვილით ბედნიერს, რად ატირე, რად დააქვრივე, უწყალოვ, რად მოუკალ კეთილმწიფე ქმარი, უწყალოვ! სად ამიწე კეისართაგან გვირგვინოსანს შენს უმაღლესს თავს, რად გიწყვია უქმად ეგ ძლიერი კელები, რომლითაც

თავეთს შემაღლებულს კამარაში მფრინველთ სიცოცხლეს მასტაცებდი; რად ასწავლე საყვარელს ქალებს საქალო კრძალულება, თუკი თავ მოხდით ატრებდი?

რად გაათამამე გული ლომებრთა მკჳდრეთა, თუკი სიმყარე უძლეველი მოეშლებოდი, რად გვაჰსწავლე ჩრდილობა მხედრობისა ვაჟკაცობითურთ, თუ შენს წინ სისხლს არ დაგვაქცევინებდი...

ჩემს უღირსად შენგან მოწყალებით გაზდილი, შენის კაის ბატონ-ყმობის ტრფიალი სოლომონ აქამდის რად მაცოცხლე, თუ ასე ოხრად დამაგდებდი!...

ჰელმწიფევ! სად დაგიკარგავს ჰელმწიფეთაგან საშურველი ჩრდილობა? ამ დუმილით პატივ-საცემელს სასახლეში, რა ამბავია უჩვეველის კმის შემაღლება? რას ნიშნავს ამისთანა უბედური სალამი? გადმოხედე ჰელმწიფურად შენს მეჯლიშში მეინახეთ, დარბაისელთ, სახელოვანს სარდლებს! ჰელმწიფევ! ვიცით, რომ საქართველოს ხალხი მეფის ერეკლეს ტახტზე აღსვლით გულ-ამაყნი არიან...

ქვეყანას უყვარდა სოლომონის გული: მწუხარებამ არ შესცვალაო, არ დაიჩაგრაო. ჩემი სიამაყე პირველად სიმართლე და მეორედ მეფის ერეკლეს სიმრთელე იყო. მეფეს ერეკლეს ცოცხალს უყურებდი, მტერი და განსაცდელი სათამაშოდ მიმაჩნდა. ახლა იმასის მტრის გული დაიჩაგროს, როგორც მეფის ერეკლეს სიკვდილით სოლომონის გული დაიჩაგრა! იმისი ტკბილი ბატონ-ყმობა ვიტიროთ, თუ თავის უნებურად ჩემის შეწყნების შენანება, რომელიც თავისის უმაღლესის ჴელით მომწერა და სოფელმა აღარ დააცალა.

ჰელმწიფევ, დედოფალო და მეფის ძენო! გაჰიცნებთ მეფის ერეკლეს დღეგრძელობას, სიმრთელეს, გამა-

რჯუცნბას ორში ერთი მოწყალება მოიღეთ.

ან მომაკვლევინეთ და მეფის ერეკლეს უმაღლესის ცხვირის ფიცრად დამდევით, რომ იმისი სანატრელი ქუშო ჩემს გულზე იდგეს მეფის ერეკლეს მძლიერი ტანი, რომ ჩემს გულზე ირღვეოდეს. ჩემთჳს ის დღე იქნება, რომ დღე და ღამე ათი და თხუთმეტი საათი სახსოვარ მეფეს ნიადაგ მარტოკა ვახლდი ხოლმე, იქ ბატონ-ყმობა სადღა იყო, იქ გაუგლეჯი ბატონ-ყმობის სიკეთე როგორღა დარჩენოდა უღრმე-სად. იფიქრეთ უმაღლესნო, ისე შემიბრალეთ.

ან ამ ქვეყნიდამ დამკარგეთ, რომ სადაც მეფის ერეკლეს სამხედრო რაინდობაზე თვალი დამრჩომია, სადაც იმისის გამარჯვებულის დროშისათჳს მიმ-სახურნია, თუ სადამე მის წინ სისხლი დამიქცევია, სადაც მეფის ერეკლეს ბედნიერი სალამი შემყვარებია, და იმისს სახსოვარს მეჯლიშში ჩემთჳს უდიერსის ჴელმწიფურის ალერსით ჩემგან ხუმრობა ჰყვარებია, და თუ სადამე საჴელმწიფოს მასლაათით მიმსახურნია, ის ადგილები აღარ ვნახო, ამ ცეცხლებით აღარ დავიწვა.

ჴელმწიფევ, მფლობელო, საზოგადოვ მამავ! მეფევ ირაკლი! ვის მივსცე შენის უმაღლესის თავისა და უძლეველის ტანის უზომო ტრფიალება? ვის დროშას ვემსახურო, ვინ შევიყვარო, ვისთჳს მოვკვდე, ვისთჳს ვიცოცხლო? შენს უკან სიცოცხლე საზრახვათ განმწარებულმან....?

სოლომონ მსაჯული.

# კბილის ჰაქიმი.

ერთხელ იყო დიდი ოდესის ქალაქის გარეთ, სადაცა გაეკეთებინათ ხალხთა თვს ალაგი, რომელზედაც ჩაემწკრივებინათ ხის გრძელი სკამები. ჯერეთ კიდევ ცარიელი იყო ის ალაგი; მხოლოდ პირველს ჩაგლებულს სკამზედ ისხდნენ ორიოდე კაცნი, რომელთა რიცხვშიაცა იყვნენ ორნი კაცნი, ერთი ევროპიის ტანისამოსით მორთული, თითქმის, როგორცა ჰსჩანდა, ორმოც წელს გარდაცილებული, და მშვენიერის სახის მქონებელი, და მეორე თურქულად ჩაცმული; ეტყობოდა, რომ ოსმალო უნდა ყოფილიყო და ხნით პირველზე უფროსი. მოგრძო აწოწვის მზგავსი ცხვირი, დიდრონი შავი თვალები, რომელნიცა იყვნენ განშვენებულ ხშირ წამწამთა და ზრქელ წარბთაგან, გრძელი ჭაღარა შერეული ულვაშები, რომელნიცა ჰფარავდენ ტუჩებსა; ესე ყოველნი მისცემდენ იმ აზიელსა მეტსა მშვენებასა. თურქნი დიდსა პატივსა აძლევდენ იმ კაცსა და დიდათაც უყვარდათ, რადგანაც მეტის კარგის გონების მქონებელი იყო და მეტად კარგათ უანბობდა ხოლმე თავისთა თანმედროეთა სხვა და სხვათა ანბავთა, თუ ზღაპართა. გარნა ამხანაგი, რომელიცა უჯდა გვერდით ევროპიულად ჩაცმული, უფრო იყო მოარშიყე და უყვარდა ქალების უკან დევნა.

რა გამოხდა ორი საათი, ხალხთა იწყეს მოსვლა. პირველი რიგის სკამები გაივსო უფრო ქალთაგან და ეს ორნი ზემო აღწერილნი კაცნი მეტად იწროდ ისხდნენ მშვენიერთა ნათესავთა შუა.

ევროპიელი ხან მარჯვნივ ქალთა უყურებდა, ხან

მარცხნივ გარდახედავდა.... მშვენიერნი იყჳნენ მრავალნი, ოსმალი თავის ალაგითგან არ იძროდა და მოუთმენლივ უცდიდა დოდის დაწყებასა. ამ დროს მეორეს სკამების რიგში შეიქნა ხმაანობა, რომლისა მიზეზით ოსმალმა უკან გარდაიხედა; ნახა ორნი ტურფა სახის მქონებელნი ქალნი ემებდენ ალაგსა პირველს რიგში. სამთა ყმაწვილთა კაცთა, რომელნიცა, როგორცა ჰსჩანდა, ეკუთნოდენ იმ მშვენიერთა, მიჰმართეს თხოვნითა ჩუენთა მცნობთა, რომ თავიანთ ალაგი ქალებისათჳს დაეთმოთ. ოსმალი არცა თუ ალაგითგან შეიძრა, მარამ ევროპიელი ფიცხლავე გადმოხტა მეორეს რიგში და ერთს იმ ქალებთაგანს უთავაზა თავისი ალაგი; შემდგომ ჰსთხოვდა ამხანაგსაცა, რომ გადმოსულიყო. თუმცა აზიელსა ჯერეთ არ უნდოდა და რაღაებსაც ბუტბუტებდა, მარამ რა ნახა, რომ მეტი ღონე არ იყო, ისიც უკან გადმობრძანდა. მცირეს ხანს უკან მეორეს რიგშიაცა იწროება შეიქნა. ახლა მესამეს რიგითგან ქალებმა დაუწყეს თხოვნა იმავე კაცთა, რომ ალაგი ეთავაზებინათ.

—ეჰ, ეფენდი, უთხრა დაცინებით ევროპიელმა თავის ამხანაგსა,—მგონია ჩუენ მესამეს ალაგს მოგვიხდეს გარდასჳლა.

—ალლაჰ, ალლაჰ! წარმოჰსთქუა ოსმალმა, განა კიდევ უნდა დაუთმოთ ჩუენი ალაგი მაგ უმზგავსოთა?

—განა არ იცი, რომ ახლა სტამბოლში არა ვართ. ჩუენში რიგი არის, რომ კარგ ალაგს დაუთმობენ ხოლმე ქალებსა.

—სულელური ჩვეულება არის, მიუგო აზიელმა,—განა აგრეთნი რანი არიან დედაკაცნი!

—დედაკაცნი ჩუენში მეფანი არიან.

—რომლის უფლებითა მეფობენ?

—სალამანკის და ნიჯიერჯის უფლებითა.

—ძალიან დიდი საქმე არის იმათი სალამანკე და ნიჯიერჯება. მე სარწმუნო ვარ, რომ ვერცა ერთი ამ ქალთაგანსა ვერ შეუძლიან ჟღავის მოხარშვა

—მაინც რაც უნდა იყოს, ამათაც უნდა უთავაზო ჩუენი ალაგი; და დავმორჩილდეთ საჭიროებასა, ეფენდი! ესე რა ჰსთქუა ევროპიელმა, გადმოჰსდგა ფეხი მესამეს რიგში.

თუმცა არ უნდოდა ალაგითგან დაძრვა აზიელს, მარამ რა ნახა, რომ ამხანაგი გარდავიდა, იმასაც შერცხვა, გაჯავრებული ისიც გადმოვიდა და წამოიძახა დიდგულად:

—აქედან კი ვეღარავინ დამძრავს; აჲ რისთჳს, ყური დამიგდე.

«ერთხელ სტამბოლის ქალაქში, ჩუენს დიდ მუფთის (*) კბილი ასტკივდა საშინლად. რა ძალიან შეაწუხა ტკივილმა, დაუძახა თავის მოსამსახურეს და ჰკითხა: იმისთანა არა ვინ არის სტამბოლში, ისე ამომძროს კბილი, რომ არ შევიტკიო? მოსამსახურემ მიუგო: არის ერთი ურია, რომელმანცა მეტი კარგი ოსტატობა იცის კბილისა თჳსაო. რასაკჳრველია ფიცხლავ გაგზავნეს ურიას მოსაყვანად; მარამ რა უთხრეს, მუფთიმ დაგიბარაო, დიდად შეშინდა, რადგანაც იშვიათათ მიიღებდა იმისთანა სახელიერო კაცი გარეშეთა ხალხთა, ისიც მხოლოდ დიდთა კაცთა. ურია მივიდა თუ არა ოსმალთა განმანათლებელთან, და შევიდა თუ არა სახლში, მუფთის კბილი დაუამდა.

---

(*) მუფთია, მოლაზე უფროსი არის.

—მოიცადე, ოსტატო, მეორეს ოთახში, უთხრა მოღლილათ უფროსმა;—თუ რომ კიდევ წამომტკივდა კბილი, დაგიძახებ; მარამ ასე უნდა ამომძრო, რომ არ შევიტყო, თვარემ უბრძანებ მოსამსახურეთა და თავს ტანისაგან განვაშორებინებ.

—მომიტევეთ, ღმერთო, ყოვლისა შემძლებელო! მოახსენა ურიამ, რომელიცა დაემხო იატაკზედ; შემდგომ დაიწყო ორივე ხელები გულზედ და უკრევდა თავსა ესრეთ, რომ თითქმის თავს ახვედრებდა ალაგს.

—კარგია, გამეცალე აქედგან.

ურია გავიდა მეორეს ოთახში მოწიწებით. მცირეს ხანს იმას შემოესმა ხმა კვნესისა, წამოიხტა თავის ალაგითგან და ლოცულობდა—გადავრჩე ამ საშინელების შემთხვევასაო. ამ დროს კარები გაიღო, შევიდა მოსამსახურე და შეიყვანა ურია, მუფთისთან რომელსაც მეტის სიმწარით, ხმა კი ვერ ამოეღო, თავს უქნევდა და კელებით ანიშნებდა. ურია მიუახლოვდა ავათმყოფს.

—აი ეს კბილი მტკივა, მძივს უთხრა მუფთიმ:—მარამ არ მაწვალო, თვარემ.... დაიხსოვე კარგათ რაც წეღან გითხარი.... აბა ამოიღე.

—რასაკვირველია, ყოვლისა შემძლებელო!... წარმოსთქვა ურიამ, რომელსაც ეჭირა გაზით ჭიისაგან შეჭმული კბილი.

—როგორა? განა? დაიყვირა განკვირვებით მუფთიმ. მართლად რომ ტკივილი დაეკარგა...—მერწმუნე, რომ საქებელი ხარ! აბა ახლა ოსტატო, როგორ დაგასაჩუქრო?

ურია თავს უკრავდა.

—ხუთასი მანეთი რომ გაჩუქო, ეს მგონია ცოტა მოგივიდეს.

ურიას გულში უამა და გული აუფანცქალდა.

—თუ რომ ათასი მანეთი მოგცე, მაგრამ ათასი მანეთი ჩემთჳს რა ფულია, ვითომც გამიფურთხებია.... მართლად რომ მუფთიმ გააფურთხა.

ურიამ ვეღარ მოითმინა სიხარულის გამოუთქმელობა და ადრინდელზე უფრო ძალიან მოჰყვა თავის დაკვრასა.

—ჩემთჳს ხუთი ქისა ოქროთი სავსე ისეა, როგორათაც სხჳსთჳს შავი ფული.

ცოტა გაწყდა, რომ ურია ამ სიტყუაზე სიხარულით თამაშობას არ მოჰყვა.

—ერთის სიტყჳთ მე გხედავ, რომ ფულით ვერ გარდავიხდი შენს სიკეთესა.... მაშ მოდი, მე შენ მოგცემ, სამაგელს ურიას სიგელსა, რომლის ძალით უფლება გექმნება სამოთხეში შესვლისა! ხომ გესმის ძალი ამ გვარის უძვირფასესის საჩუქრისა?

ეს უნდა ვიცოდეთ, რომ როდესაც ოსმალო კჳდება, საფლავში აყოლებენ სიგელსა, რომლის ძალით იმათ ჭაზრში მკჳდარსა აქვს უფლება სამოთხეში შესვლისა, და ეს სიგელი ეძლევა მუფთიასაგან, რომლისაც ჴელიც აწერია ზედა.

ურია ამ სიტყუაზე შეჰსწუხდა დიდად, წელი აღარ მოსდევდა, რომ თავის დაკვრა გაევრძელებინა, მარამ რა ქნა, შეეშინდა.

—გესმის თუ არა, განიმეორა მუფთიმ, ძალი ამ გვარის საჩუქრისა? ჯერ აქამდის არ მომხდარა იმისთანა საქმე, რომ ძალი ღირსეულ შექმნილიყოს ამ გვარის ქაღალდის მიცემისა.... შენ პირველი ხარ; მარამ ასეთი სიკეთე მიყავ მე,—მაშასადამე ჩუენ წინასწარმეტყუელსაცა, რადგანც იმისი თაყუანის მცემელი ვარ და დამიხსენ სატანჯველისაგან; რასაკჳრველია

ეს იმისთვის სასიამოვნო არის, — რომ მე გავზედე შენი გაბედნიერება ამ სოფელსაც და იმ სოფელსაც.

რამდენისამე წამის შემდგომ სიგელი მოამზადეს, მუფთიმ კალი მოაწერა და მისცა საწყალს ურიას, რომელიცა მწარედ შეწუხებული და თითქმის ტირილით მოვიდა შინა.

იუსუფა ეფენდი, პირველი კაცი მუფთიასი, დიდად გაწყრა ამ საქმეზე, რადგანაც მტკიცედ იყო თავის სარწმუნოებაზე და იტყოდა:

— როგორ თუ! ძაღლი განა უნდა იჯდეს ჩვენს რიგში სამოთხეში, სადაც ვიქმნებით შეყრილნი კეთილმორწმუნენი! არა, არა! ეს შესაძლებელი არ არის!... ალლახ! ალლახ! ამ დროსაც შეგვესწარით!

რამდენსამე დღეს შემდგომ, იუსუფ ეფენდიმ იფიქრა, როგორმე ეგება გამოეტყუებინა ურიასთვის წმიდა მოწმობა.... გაგზავნა კაცი მოსაყვანად და რა მოვიდა ურია უთხრა:

— შენ მეფემან და მბრძანებელმან ჩვენმან მოგცა სიგელი სამოთხეში შესვლისა.... უთუოდ უნდა ახლავე დამიბრუნო, გესმის თუ არა? ას მანეთს მოგცემ.

— არ შეიძლება, უპასუხა ურიამ; — ვერას გზით ვერ გავჰყიდი ამისთანას უძვირფასეს საუნჯესა.

— მაშ აჰა, ორასი მანეთი.

— ჰსჯობს აღარ გამიხსენოთ, არ შეიძლება ამისი გაყიდვა,

— გამიგონე, ურიავ, აჰა ხუთასი.

— არა, არა მეთქი, რაც უნდა მომცე, ვერ მოგყიდი!..... ეს ისეთი საუნჯე არის, რომ....

— ათასს მანეთს მოგცემ, ახლა? და თუ არა, მე შე....

— ურიამ რა უკანასკნელი სიტყვები შეიტყო და ნახა რა, რომ ემუქრებოდა, დაფიქრდა და გონებაში

იტყოდა: ათასი მანეთი ცოტა ფული არ არისო!..

— კარგი, ავრე იყოს, უთხრა ურიამ; — უარის თქმა აღარ შემიძლიან, უსულგრძელესო ეფენდი!.... მხოლოდ თქუჱნის ხათრით, თვარემ სხუა რომ ყოფილიყო კი არ შეიძლებოდა, გვიბოძეთ ფული.

გაუცვალეს ერთმანეთი ფული და მოწმობა, შემდგომ განშორდენ.

მეორეს დღეს იუსუფ ეფენდი მივიდა მუფთისთან.

— ყოვლისაშემძლებელო, უთხრა იმან, — თქუჱნ წმინდა და კეთილი კაცი ბრძანდებით, მარამ ზოგჯერ უჴომოდ არღვევთ ხოლმე კანონსა ჩუჱნის წინასწარმეტყუჱლისასა. მაგალითად, იმ დღეს ერთს ძაღლს უბოძეთ უძვირფასესი სიგელი, რომელიცა გუშინ რამდენსამე ვეცხლის ფულად მომყიდა მე.

— როგორ თუ მოგყიდა! წარმოსთქუა წყრომით მუფთიმა. როგორ! ეგ შესაძლო არ არის, ალლაჰ! ალლაჰ! სად არის სიგელი?

— აჲ სიგელი....

— ამ საათში დამიძახეთ ურიას, იმ ძაღლსა... მე იმას საქმეს მოურიგებ... ალლაჰ! ალლაჰ!

ურია მოათრიეს, მარამ არც მკუდარი იყო, არც ცოცხალი.

— როგორ თუ, შენ ძაღლო! გაჰბედე გასყიდვა უძვირფასესის საუნჯისა, რომლითაცა შენ დაგვსაჩუქრე და ბედნიერ გყავ! შენ გაბედე ფასის დადება იმ ნივთისა, რომელიცა წარმოგზავნილი იყო ცითგან... უთხრა შეტევით ურიასა მუფთიმ.

— დაუძახეთ... დაიყვირა ეფენდიმ, რომელიცა იხედებოდა მეორეს ოთახისკენ, სადაცა იდგნენ მოსამსახურენი.

— ნება მიბოძეთ, უთხრა ურიამ და თან თავს უკრე-

ვდა მოწიწებით მუფთის, აღვიხსნათ მიზეზი, ყოვლისა შემძლებელო, თუ რასათვის გავბედე მე....

— აბა ჰსთქვი, დაუყვირა საშინლად მუფთიმ.

— გვსთქვიათ რომ, დაიწყო ურიამ, შემენახა ესე უძვირფასესი საუნჯე, მოცემული ციდგან და თქვენის ყოვლად-შემძლებელობისაგან, საუნჯე, რომელსაცა ფასი სრულებით არა აქვს და რომლითაცა ბედნიერ ჰყავთ უკანასკნელი მონა თქვენი.... გვსთქვიათ რომ სიკვდილის შემდგომ შევსულვიყავ უმშვენიერესს ედემში. რა გამოვიდოდა აქედან? ახ! ყოვლისა შემძლებელო მეუფეო! ვიცოდი, აქედან რაც წარმოსდგებოდა! მოვიდოდა ჩემს შემდგომ კეთილ-მორწმუნე ოსმალი და, რა მნახავდა უკანასკნელსა მონასა თქვენსა, იტყოდა: — ეს რა ამბავია? ურიავ, ძაღლო, წადი უკან დაევდეო.... უნდა ალაგი იმისათვის დამეგდო და უკან დავმჯდარვიყავ... მოვიდოდა მეორე, იტყოდა: დაიკარგე აქედან, წყეულო ურიავ, აქ შენი ალაგი არ არის, უკან მიეხირე. მე როგორც უკანასკნელი მონა თქვენი, უკან უნდა დამეწია!... მოვიდოდა მესამე, კიდევ ეს საქმე დამემართებოდა; მოვიდოდა მეოთხე. კიდევ უკან გამაგდებდა; ბოლოს კარებს რომ მივუახლოვდებოდი, მოვიდოდა უკანასკნელი, თვთონ რომ ალაგი აღარ ექმნებოდა, გარეთ გამომიძახებდა, და თუ ის უკანასკნელი კეთილმორწმუნე თქვენ იქმნებოდით, მაშინ არა თუ გამომაგდებდით, ზევრსაც დამარტყავდით. ახლა თქვენ თვთონ იფიქრეთ, უწმინდესო მეუფეო! თუ კი ასე დამემართებოდა. რაღა საჭირო იყო შესვლა, ისევ ისა ჰსჯობია რომ არ შევიდე.....

მუფთამ გაიცინა.... ურია კი გაუშვეს მრთლად და დაუსჯელად.

— და ამისათჳს ამ ალაგითგან აღარ დავიძვრები, უთხრა ოსმალომ ევროპიელს და დაჰსჯდა მეორეს რიგში.

## ცოლისგან ქმრის ღალატი.

ერთი კაცი მიდიოდა სავაჭროდ სხუა ქალაქში და რადგანაც იცოდა თავისის ცოლის ანბავი, რომ უღალატებდა, ამისთჳს ჩააბარა თავის ამხანაგს და დიდს მეგობარს, რომელიცა ყოველთჳს თეთრს განისამოსს იცუამდა და უთხრა: რამდენიც ჩემი ცოლი ცუდს ყოფაქცევაში შენიშნო, იმდენი ამოიღე საწერელითგან მელანი და განისამოსზედ დაიწვეთე; ეს კაცი ადგა და წავიდა, რამდენისამე დროების შემდგომ, ამ ამხანაგმა ქალის ქმარს მისწერა წიგნი ესრედ: «გთხოვ საყუარელო მეგობარო ჩემო და ამხანაგო, რომ რაც შეგეძლოს ჩქარა დაბრუნდე შინა, თორემ თუ რომ ცოტა კიდევ დაიგვიანე და არ მოხველი, შენი მტერი, მაშინ ჩემი განისამოსი, კაბა, შალვარი და სხუები სრულებით იქნება გასვრილი შავის მელნით, ასე რომ უეჭველად არაბს დავემზგავსებით.

## ქურდის ენა-მეტყველობა.

ერთს სახლში შუაღამისას ქურდი შეიპარებოდა ნივთების მოსაპარავათა. სახლის პატრონმა ფეხის ხმა შეიტყო და დაუძახა: ვინ ხარო? ქურდმა ხმა არ გასცა. — ვინ ხარ უთუოთ ქურდი ვინმე იქნებიო? განიმეორა სახლის პატრონმა. მაშინ ქურდმა მიუგო ესრედ: თუ კი მიცნობ ვინცა ვარ, რაღასა მკითხამო.

ივ. კერესელიძე.

რედაქცია ქართულის სალიტერატურო ჟურნალისა «ც ი ს კ ა რ ი» წარმკითხველთაგან მოითხოვს მოთმ-ენებასა, უკეთუ ჰპოვებენ რასამე ნაკლულოვანებასა პირველს გამოცემულს წიგნში. რაც რომ შეძლება ჰქონდა რედაქციას, არ დაუზოგავს ტიპოგრაფიის გა-მართვისათვს. ლექსებში ნაცვლად ჷ ხმარებულია ჳ, რადგანაც იმ ზომის ასო ვერ მოხერხდა ტიპოგრაფიაში, ჵ არცა თავი ასოები არიან თავთა-ვის ადგილს ნახმარნი ამავე მიზეზით, მაგრამ ეს ქი უნდა განუცხადო საყუარელთა წარმკითხველთა, რომ რედაქცია დიდს ღონის-ძიებას მოიხმარებს, ამ ჟურ-ნალის წარმატებისათვს.

რ.

# სარჩევი.


წარჩინებული სიტყვიერება.—პოეზია: I. ცისკარი, (იგ. კერესელიძისა) 1.—II. ზულზული, (თ. გ. ორბელიანისა) 2.—III. აღსარება პოეტისა, (თ. ალ. ჭავჭავაძისა) 3.—IV. ოცნება, (ქნიაჟნა სალომე მაყაევისა) 5.—V. რომანსი პუშკინით, (ლიმ. მგალობლოვისა) 9.—VI. ჩიტი, (თა. ილ. ჭავჭავაძისა) 7.—

პროზა: I. მეუდაბნოენი, (ს. ა. მესხიევისა.) 9.—

ჰსაწვლაძღველოვნება: I, მოთქმითტირილი საქართველოსმეფის ჰერკულესნეტარისა (სოლომონ მსაჯულისა) 45.—

სხვადასხვა ამბავი: I. კბილის ჰაქიმი, (იგ. კერესელიძისა) 53.—II. ცოლისაგან ქმრის ღალატი, (მისივე) 61.—III. ქურდის ენამეტყველობა, (მისივე) 61.


---

ამა სალიტერატურო ჟურნალის «ცისკრისა» მიმღებნი მსურველნი შეუძლიანთ ინებონ მოწერვა თხოვნითა რედაქციაში, ქ. ტფილისს, თავადის ალექსანდრე ვახტანგის-ძის ჯამბაკურიან ორბელიანის სახლებში. ფასი თორმეტის წიგნისა, ესე იგი: ერთის წლისა ექვსი მანეთი, ხოლო შინ გაგზავნით შვიდი მანეთი ვერცხლი.